წელიწადი პირველი · ფასი 5 კაპ. · ოთხშაბათი, 18 გიორგობისთვე 1915 წ. · № 146

241

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის:
Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი [illegible] გვერდზე პეტიტით [illegible] კნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირება 4 მანეთი.

დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

საქართველოს კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 ნოემბრიდან წლის დამლევამდე ღირს 1 მან.—60 კაპ.

მოვაგონებთ იმ ხელის მომწერთ, ვისაც ხვედრი ფული არ აქვს გადახდილი გაზეთის გზავნა შეუჩერდებათ.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“ Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვათ.

ახლად გახსნილს ინტელიგენტურს სასადილო

„პეტროგრად“-ში

კრუზენშტეინის ქუჩაზე, „Тифл. Листок“-ის რედაქციის პირდაპირ

მზადდება ყოველნაირი

ევროპიული და აზიური საჭმელები

ძრიელ ხელმისაწვდომ ფასებში: 2 თავი 50 კ. ხოლო სამი თავი 65 კაპ.

თვიურად ფასდაკლებით, ე. ი. 2 თავი—13 მან., 3 თავი—16 მან.

შეიძლება ვახშმის შეკვეთა.

პატივისცემით ს. ქაჩეთელიძე და გ. არჩვაძე.

25—12

„წითელ წყლის“ სადგურთან, სულ რამდენსამე ნაბიჯზე, თვით სადგურიდან, გაიხსნა

სასტუმრო „ჯუგაანი“

სასტუმრო მოწყობილია სუფთად და ევროპიულად ნომრებით და ბუფეტით

15—5 პატივისცემით ნიკო (კოლა) ზურაბის-ძე ზედელაშვილი

გადაწერას საწერ მანქანის საშუალებით და საწერ მანქანაზე მუშაობის სწავლებას ხელმისაწვდომ ფასებში ჰკისრულობს

თ. გვათუას კანტორა

ვერის დაღმართი № 1

ტელეფონი 17—05

ქ. გორში

ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან.

კბილის ექიმმა

მამულაიშვილმა

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

ექიმი

. დ. წინამძღვრიშვილი

. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი

გ. მ. მუხაძე

იღებს დოსტაქარი ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

ომის ამბები

ომის დეპეშები

უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისა

პეტროგრადი, 16 გიორგობისთვე. ოფიციალი ცნობა. დასავლეთის ასპარეზი. რიგისა და დვინის შუა მდებარე მიდამოებში ცვლილება არ მომხდარა. რიგის მიდამოში ზარბაზნის სროლა გაძლიერდა. დვინსკის ჩრდილო-დასავლეთით ილლუქსტის და სოფ. კაზიმირიშჩიკის მიდამოებში გერმანელებმა 15 გიორგობისთვეს ღამით ძლიერი ზარბაზნის სროლა აუტეხეს რუსების სანგრებს და გარიჟრაჟისას იერიშით წამოვიდნენ, მაგრამ სამაგიერო სროლით შეაჩერეს. რუსებმა სამაგიერო იერიში მიიტანეს, და გერმანელები სოფ. კაზიმიიშკიდან განდევნეს. რუსების რაზმები ილლუქსტში შეიჭრნენ და მისი აღმოსავლეთის ნაწილი დაიპყრეს. აქ რუსებმა დაიპყრეს ორი სასაფლაო და გერმანელთა სანგარი. ცხარე ბრძოლა გრძელდება ძლიერი ზარბაზნების სროლით. დანარჩენ ადგილებში დვინსკის მიდამოებიდგან მდ. პრიპიატის მიდამოებამდე აღსანიშნავი არაფერი არ მომხდარა. 15 გიორგობისთვეს ღამე რუსის რაზმები ნეველთან გერმანელების 82-რე დივიზიის შტაბზე უეცრივ იერიში მიიტანეს, ხელის ყუმბარები დაუშინეს, საფარი სანგრები დაანგრიეს და ტყვედ წამოიყვანეს დივიზიის უფროსი, ექიმი, 3 აფიცერი და ჯარის კაცები. აქ გერმანელებმა კვლავ შემოუტიეს და რუსებმა უკან დაიხიეს. რუსებს მოუკლეს 2, დაუჭრეს 9, მათ შორის 3 აფიცერი დაიჭრა და ერთი მოკვდა. მდ. სტირის მარცხენა ნაპირას ს. კოზლინიჩთან და ჩარტორიისკთან მოპირდაპირემ ცოტაოდი უკან დაიხია.

კავკასიის ასპარეზი. ცვლილება არ მომხდარა.

ბელგეთის ასპარეზი.

ჰავრი. ბელგეთის ცნობა. 15 გიორგობისთვეს დღე-ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა. ზარბაზნის სროლა სუსტი იყო. მტრის მფრინავებმა ბელგეთის ასპარეზზე ყუმბარები ჩამოჰყარეს.

შავმთაში.

ცეტინიე. „პრეს-ბიურო“ იტყობინება: მეფე ნიკოლოზმა ხალხს მხურვალე მოწოდებით მიჰმართა და ურჩევს, მოვლენილ განსაცდელს გულმშვიდად შეეგებნენ, მაგალითად სერბეთზე უთითებს; სერბეთის ჯარი იძულებული გახდა შავმთის მთებისაკენ დაეხია, სადაც სერბეთის ორივ სამეფოს ჯარი შეუდრკელად გაუმკლავდება საერთო მტერს. შავმთა, არ უღალატებს მამა-პაპათა აღთქმას და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებს, რადგანაც მონობას სიკვდილი ურჩევნია.

რაკი მოკავშირე სახელმწიფოებმა სურსათისა და სასროლის მასალის მიწოდება აღგვითქვეს, შავმთელების ჯარი თავისი სისხლით დაიცავს ძვირფას სამშობლოს.

ფილადელფია, 16 გიორგობისთვე. სესხის საქმე კარგად მიდის. ბანკებში 700 ათასზე მოაწერეს ხელი.

პარიზი, 16 გიორგობისთვე. პრეზიდენტმა პუანკარემ მიიღო გენერალი ჟილკინსკი, შემდეგ საუზმეზე მიიწვია.

ბუქარესტი, 16 გიორგობისთვე. ორშოვოში მოვიდა ენვერ-ფაშა და გერმანელ-ავსტრიელთა შტაბის უფროსებთან მაკენზენთან ერთად მიიღო მონაწილეობა საზოგადო გეგმის შედგენაში. გერმანიის მთავარი შტაბის უფროსი ფალკენჰეიმი თათბირის შემდეგ ნიშში გაემგზავრა.

ათინა, 15 გიორგობისთვე. დიპლომატიურ წრეებში დაბეჯითებით იუწყებიან, რომ ჩრდილოეთში მომქმედი სერბეთის ლაშქარი ორ ნაწილად გაიყო, ერთმა მთაშავეთს შეაფარა თავი და მეორემ—ალბანეთსაო.

პარიზი, 16 გიორგ. მთელის ფრონტის გასწვრივ ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა. მხოლოდ არტუაში, ლილის გზის მახლობლად, ბრძოლა გაჩაღდა ხელით სასროლი ყუმბარებით. აგრეთვე ბრძოლა მოხდა ლოტარინგიაში რეილიონთან. გუშინ 4 გერმანელი მფრინავი ვერდენის თავზე დაჰფრინავდნენ და ყუმბარებს ისვროდნენ. არავითარი ზარალი არ მოგვსვლია. ამის საპასუხოდ ხუთი ჩვენი მფრინავი გაემართა სადგურ ბრიე-ლე-მურტენისკენ, 20 ყუმბარა ჩამოაგდეს და რკინის გზა გააფუჭეს, რის გამოც მომავალი მატარებელი ისევ უკან გაატრიალეს.

ლუნევილი, 16 გიორგ. გერმანელთა ტყვეობიდან გამოქცეული ორი ადგილობრივი მცხოვრები იუწყება, რომ პინსკის მაზრაში გერმანელები ხანგრძლივ საზამთროდ ემზადებიან, მცხოვრებთ ძალით ამუშავებენ, სახლებს აკეთებინებენ, მასალას ეზიდებიანო.

კოპენჰაგენი, 16 გიორგ. ვენიდან მოსულ ცნობების თანახმად 10 ნოემბერს სამი რუსი მოწყალების და მოსულა რუს ტყვეების დასათვალიერებლად, აგრეთვე დაჭრილთა სანახავად.

სოლუნი, 15 გიორგ: რაკილა თოვლი მოვიდა, ინგლის-ფრანგების ბრძოლის ხაზზე არავითარი ოპერაცია არ მომხდარა. სერბებმა დასცალეს კაჩანიკი. მეტი წილი სერბეთის არმიისა ალბანეთში გადავიდა. ბულგარებმა გუშინ სერბებს დააცლევინეს პრილეპი. ბულგარები მონასტირს 20 ვერსით მიუახლოვდნენ.

საფრანგეთის ასპარეზი.

პარიზი. საღამოს ოფიციალი ცნობა. მერრი-მაკის დასავლეთით მოპირდაპირის ძლიერი მზვერავი რაზმი ფრანგებმა გაჰფანტეს, დანარჩენ ადგილებში თვალსაჩინო არაფერი მომხდარა.

ფრანგმა მფრინავებმა ბელგეთში გერმანელი მფრინავი ჩამოაგდო, რომელიც საფრთხიანად ზღვაში ჩავარდა ვესტლეპენთან. დასტენდედგან გერმანელების [illegible] და ნავები მიდდლკერქისკენ გაემართნენ. ფრანგების ათი აეროპლანი მიულჰაუზენის აღმოსავლეთით ჰაბსჰეიმის ანგარს დაესხა, ესროლეს 8 ყუმბარა 155 მილიმეტრიანი და 20 ყუმბარა 90 მილიმეტრიანი. ანგარს ცეცხლი მოედო და იქ მყოფი ჰაეროპლანები დააზიანა და მოპირდაპირის მფრინავებს, დაედევნენ ფრანგებისას, მაგრამ ერთი ტყვიისმფრქვეველებით დაიცხავს, მეორე კი ლიუტერბახთან დაეშვა. ნანსის მიდამოებში გერმანელების ჰაეროპლანს ფრანგი მფრინავი დაედევნა, მიუახლოვდა და ძირს ჩამოაგდო. მეორე მფრინავმა თავს უშველა.

დარდანელში.

პარიზი. 13 და 14 გიორგობისთვეს ზარბაზნებით ბრძოლა იყო. ოსმალებმა მოპირდაპირეთა წინა სანგრები ნაღმით ააფეთქეს. მოპირდაპირის მარცხენა ფრთაზე ოსმალებმა პირველად მიმართეს მომხამული გაზი ინგლისელების წინააღმდეგ.

ჟურნალ-გაზეთებიდან

სერბეთი.

სერბეთის ჯარის მდგომარეობა.

მაკედონიაში და ძველ სერბეთში სერბთა ჯარის საერთო მდგომარეობა ერთობ [illegible]. ინგლის-საფრანგეთის საექსპედიციო ჯარი ვერ შეუერთდა სერბებს და ბრძოლის ხაზი ვერ გამოსწორდა. ავსტრია-გერმანელებმა გადალახეს სიძნელე, რომელიც მძიმე არტილერიის გადაზიდვაში შეხვდათ. ლიმის რაიონში ავსტრია-უნგრეთის ჯარის სანჯაკის ძველ საზღვრებს მიაღწია. გერმანელ ფონ-გალვიცის არმიამ იამსტრემცის ქედი გადმოლახა და შეუჩერებლივ მოეშურა პროკუპლიევისკენ, რომელსაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ამავე მიმართულებით მოიწევს ბულგართა ერთი დივიზია: ფონ-გალვიცის არმიამ დასავლეთის ფრონტში მიაღწია სერბთა ჯარის უკუ-დასახევი ადგილების მეორე ხაზს. ბულგართა და ავსტრიელ-გერმანელთა მხარდამხარმა მოქმედებამ ძალიან შეამოკლა ფრონტის სიგრძე.

რაც შეეხება სერბთა ჯარის სამხრეთის ფრონტს, მისი მდგომარეობა ჩრდილოეთისაზე უკეთესი არ არის. სერბეთის არმია აქ თავგამოდებით იცავს ბაბუნის იწრულებს, მოკავშირეთა მაშველ ჯარების მოლოდინში. მაგრამ აქ ბულგარები სოლივით შეიჭრნენ სერბთა ჯარში, შუაზე გასწყვიტეს იგი, ისე რომ სერბებს სხვა არა დარჩენიათ, თუ არ დატოვება ბაბუნის მაღლობებისო.

გილანისაკენ.

„Daily Telegraph“-ის ცნობით სერბთა მდგომარეობა მეტისმეტად სახიფათოა. ბულგარებს განზე დაუტოვებიათ კაჩანიკი და კიეშელის ხეობით გილანის გზისაკენ მიისწრაფიან, რომ შემდეგ კოსოვის ველზე გაიჭრან.

პრიმტინა და ახალ ბაზარი.

ბულგარებმა დაიჭირეს პრიმტინა, დაატყვევეს 2,800 სერბი. ავსტრიელებმა და გერმანელებმა აიღეს ახალ ბაზარი, ტყვედ წამოიყვანეს 7,800 სერბი.

ფრანგულ წყაროების გამონაცემებით, ბულგარებს დაჰხოციათ ნიშლესკოვაცის ფრონტზე სულ ცოტა 4000 ჯარისკაცი ამ უკანასკნელ დღეების განმავლობაში.

დიპლომატიური კორპუსი სალონიკში

უცხოეთის ელჩები, რომლებიც სერბეთის მთავრობასთან იყვნენ განწესებული, სერბეთის ტერიტორიას სტოვებენ, რადგან შესაფერი თავშესაფარი აღარ დაურჩათ. ყველა საბერძნეთში, სალონიკში მიეშურება.

სერბეთის მთავრობის გადაწყვეტა.

სერბეთის მინისტრების საბჭოს მონასტირში კრება ჰქონია ამ ერთი კვირის წინად და ერთხმად დაუდგენიათ, მოკავშირეთა მოშველებამდე უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლონ ცენტრალსა და სამხრეთ სერბეთში.

კრებას თავმჯდომარეობდა ტახტის მემკვიდრე ალექსანდრე.

სერბეთის მთავარი შტაბის ცნობით, სალონიკში მოკავშირეთა საექსპედიციო კორპუსი 150,000-მდე ავა 23 გიორგობისთვემდე.

ალბანეთი.

იტალეთის ჯარი.

რომიდან იუწყებიან, იტალეთის ჯარი გადმოდის ალბანეთის სხვა და სხვა ზღვის პირა ადგილებში და სერბების საშველად მიისწრაფვისო.

საბერძნეთი

ქალაქი სალონიკი გატენილია სხვა და სხვა მოდგმისა და ფორმის ჯარისკაცებით. ღამ-ღამობით ქალაქ-ქალაქ დაიარება ცალკე ბერძენთა პატრული, ცალკე ფრანგებისა და ცალკე ინგლისელებისა. ქალაქი მკვიდრნი ყველას თანაბრად მორჩილობს. სალონიკის პორტი ალყა შემორტყმულია ინგლისისა და ფრანგების გემებისაგან. თვით საბერძნეთის გემებიც თავისუფლად ვერ მიმოდის. მოკავშირეთა ჯარები, სალონიკში გადმოისხმება თუ არა, ქალაქში ერთ დღეზე მეტს არ დგებიან და პირდაპირ ბრძოლის ველზე იგზავნებიან. ფრანგთა საექსპედიციო ჯარის მთავარ-სარდალი სარასი თავის შტაბით ერთ პატარა სასახლეში სცხოვრობს. ქალაქში უმხლებლებოდ არავინ დაიარება. სალონიკშივეა ინგლისის ჯარის უფროსი გენერალი მაგონი.

ქალაქში დიდძალია ბერძენთა ჯარიც. პირველ გიორგობისთვეს ქალაქსა და მის მიდამოებში ბერძენთა მთელი საარმიო კორპუსი იდგა. მაკედონიაში მყოფი ბერძენთა ჯარის საერთო რიცხვი 200.000 აღწევს. ქალაქში გამოდის 12 გაზეთი: 4 ფრანგული, 4 ბერძნული, ერთი ინგლისური და სამიც ისპანური. სალონიკის ორასი ათას მცხოვრებ შორის ბერძნები და ებრაელები თავიანთ სიმპატიას აშკარად უცხადებენ გერმანეთს, ბულგარეთ-ოსმალეთს. სხვები მალვენ თავიანთ გულის ზრახვას.

ვენიზელოსის მომხრენი

ვენიზელოსის მომხრენი საპარლამენტო არჩევნებს ბოიკოტს უცხადებენ. მთავრობა დევნის და აპატიმრებს ყველას, ვინც კი დასძრავს მის საწინააღმდეგო სიტყვას.

ვენიზელოსის მდგომარეობა

ფრანგულ გაზეთ „Echo de Paris“-ის კორესპონდენტისთვის შემდეგი გაუცხადებია საბერძნეთის ყოფილ პრემიერს: „უკანასკნელ არჩევნების დროს მონაწილეობას იღებდა 750.000 ამომრჩეველი, რომელთაგან ეხლა 380.000 დღეს ჯარშია გაწვეული. ამათ შორის მთელი საბერძნეთის ახალგაზრდობა, რომელიც ჩემს მხარეზე იყო. მეკითხებიან, თუ არჩევნებზე ხელს აიღებს ჩემი პარტია, უნდა განვაცხადო საჯაროდ, რომ ყოველ საფუძველს მოკლებულია ხმები, თითქოს ან მე და ან ჩემი მომხრეები უარს ვამბობდეთ არჩევნებში მონაწილეობაზე“.

საბერძნეთის მეფის სიტყვები

ფრანგული გაზეთები იუწყებიან: საბერძნეთის მეფემ დაარწმუნა დენი კოშენი და კიტჩენერი, რომ საბერძნეთს მოკავშირეთა ჯარებისადმი არავითარი მტრობა გულში არ უდევსო.

საბერძნეთს მოღალატის სუნი უდის.

მესინაში ტელეგრამა მოვიდა ათინიდან, რომელთაც ატყობინებენ, რომ სალონიკის რაიონში 120 ათასიან ბერძენთა ჯარმა თავი მოიყარაო. ზარბაზნები მოკავშირეთა ბანაკისკენ მოუღერებიათ. მრავალი საბუთი მოიპოვება იმისი, რომ საბერძნეთს მოღალატის გეგმა აქვს შედგენილი და სურს მოკავშირეებს ზურგიდან დასცხოსო.

ქალთა სიკვდილის ბატალიონი.

სერბეთში ქალთა სიკვდილის ბატალიონს ადგენენ.

შეურიგებელნი.

გენერალმა მაკენზენმა პარლამენტარები გაუგზავნა ალექსანდრეს და სეპარატიულ ზავის შესახებ წინადადება მისცა. ალექსანდრემ უარით უპასუხა. მეფე პეტრე სკუტარისკენ გაემართა.

გენერალ სამსონოვის გვამი.

გერმანეთის მთავრობამ ნება დართო გენერალ სამსონოვის ქვრივს პეტროგრადში გადაიტანოს განსვენებულ გენერლის გვამი, რომელიც გარდაიცვალა ტყვეობაში დაბა ეროსპეინცში.

50 ათასი იტალელი.

იტალეთს ალბანეთით გაუგზავნია 50 ათასი კაცი ბალკანეთში.

ბელგეთში.

ბელგეთის გამგე გერმანელმა გენერალ-გუბერნატორმა ბრძანება გამოსცა: ჰააგის სამშვიდობო კონფერენციის დადგენილებათა 49-რე მუხლის ძალით ბელგეთმა ხმელეთის ჯარის შესანახად უნდა გადაიხადოს 40 მილიონი ფრანკი (15 მილიონი მანეთი) კონტრიბუცია. გერმანელებს უფლება აქვთ ეს ფული ერთბაშად მოითხოვონ, ან ნაწილ-ნაწილად ახდევინონ გერმანული ფულით, 100 ფრანკს 80 მარკად მიითვლიან. პირველი ნაწილი ბელგიელთ უნდა გაანაღდონ ქრისტიშობისთვის ათში და შემდეგ ყოველ თვის ათში ბრიუსელის გენერალ-გუბერნატორს უნდა წარუდგინონ ხოლმე ხვედრი ფული.

ჩინეთში.

გერმანელთა ოფიცრები ჩინელთა ჯარში.

ჩინეთის ჯარში გერმანელი სათადარიგო ოფიცრები თანდათან შედიან. ისინი აშკარად აწარმოებენ რუსეთ-საფრანგეთ-ინგლისის საწინააღმდეგო პოლიტიკას და ჩინელ ჯარისკაცთა შორის იწვევენ მღელვარებას შეთანხმების სახელმწიფოთა წინააღმდეგ. ელზიანანის არტილერიის უფროსად დაინიშნა გერმანელი ფონ რიუდინგერი. გერმანელი ოფიცრების გამრავლება ჩინეთის ჯარში დიდ პროტესტსა და აღშფოთებას იწვევს შანჰაის მცხოვრებ ფრანგებსა და ინგლისელებს შორის.

სპარსეთი.

სპარსეთის დემოკრატი—დეპუტატები

სპარსეთის მეჯლისის (პარლამენტის) ოცდა ათი დემოკრატი დეპუტატი ყუმში წავიდა, როგორც კი რუსის რაზმი ენიმინმანისკენ დაიძრა.

ყუმში გადმოხვეწილმა დემოკრატ—დეპუტატებმა შეადგინეს კომიტეტი სპარსეთის დაცვისა. ეს კომიტეტი მუშაობს ოსმალეთ-გერმანეთის მთავრობის პროგრამის თანახმად. რუსეთ-ინგლისის მთავრობის წინააღმდეგ მოძრაობა თანდათან იზრდება და სახიფათო სახეს ღებულობს.

თეირანში.

თეირანში სიწყნარე მყარდება. მეჯლისისა და დემოკრატიული პარტიების ყველა წევრი თეირანიდან გავიდა, და იქ ჩერდება საცა გერმანეთისა და ოსმალეთის მოქმედების ცენტრებიაო. სპარსეთის პოლიტიკური წარმომადგენლობის დემოკრატიული ელემენტი აშკარად მიეკედლა გერმანეთსა და ოსმალეთს.

პოლონეთი.

ვარშავის პოლონური უნივერიტეტი.

გერმანეთის იმპერიის კანცლერის ოფიციოზი, Noyddeutsche Algemeine Zeitunq“-ი ეხება ვარშავის პოლონურ უნივერსიტეტს და ერთობ თავაზიანისა და მოხდენილის კილოთი არწმუნებს პოლონეთის ერს, გერმანეთის იმპერიამ გადასწყვიტა ყოველ მიზეზის გარეშე დაიცვას პოლონელთა კულტურული ცხოვრება და შიგ არ ჩაერიოსო.. ახლად გახსნილ უნივერსიტეტშიო—ამბობს გაზეთი—სწავლა სწარმოებს პოლონურად. ვარშავის უნივერსიტეტს მიენიჭა აკადემიური თავისუფლება, ისე როგორც ეს გერმანეთის უნივერსიტეტშია. პროფესორებად სულერთიანად პოლონური მეცნიერების წარმომადგენლები არიან დანიშნული. სტუდენტების მიღება არც ერთის მხრივ შეზღუდული არ არის. ამ საშინელ ომის ალში, ვარშავაში პოლონური უნივერსიტეტის გახსნა დიდი კულტურული აქტია, რომელსაც გერმანეთის მტრები ვერას დროს ვერ აწყდებოდნენო.

უკანასკნელი ფოსტა

„ჰამიდიე“ და „ბრესლაუ“.

ტყვე ოსმალონი ამბობენ, რომ „ჰამიდიე“ და „ბრესლაუ“ უკვე შეაკეთესო.

ბულგარეთი ჰღელავს.

რომიდან ცნობები მოდის, ოსმალთა შვიდი დივიზიის მიერ ფრაკიის დაჭერამ მღელვარება გამოიწვია ბულგარეთშიო. ჰშიშობენ, ვაი თუ მომავალში ამან გავლენა იქონიოს ფრაკიის ბედზეო.

სტამბოლში შესვლა.

ათინაში ხმებია, გერმანელთა ჯარები ჩატალჯასთან დგას და ნებართვის მოელის სტამბოლში შესასვლელადაო.

უკიდურესი გასაჭირი.

სერბეთის მდგომარეობა უკიდურეს გასაჭირში ჩავარდა. 60 ათასი ოსმალო ბულგართა დასახმარებლად გაეშურა.

ვილჰელმის მოგზაურობა.

იმპერატორი ვილჰელმი სტამბოლს ინახულებს თუ არა, მაშინვე მცირე აზიაში წავა, მოივლის სირიას და არაბეთს. ეგვიპტის ჯარების უფროსად ინიშნება იუსუფი, ფაქტიური ხელმძღვანელობა კი ეკისრებათ მაკენზენს და სანდერსს.

კრუპის წმინდა მოგება.

კრუპის წმინდა მოგება მთელი წლის განმავლობაში სამასი მილიონი ყოფილა. ამ ფირმის აქციონერი იმპერატორი ვილჰელმიც არის.

მოძრაობა რუმინეთში.

რუმინეთში ჯართა მოძრაობაა. ამას ჰხსნიან იმ გარემოებით, რომ რუმინეთი ბრძოლის ველზე გამოსასვლელად ემზადებაო. რუმინეთის მინისტრს ბუქარესტში მიუწვევია დუნაის ნაპირზე მცხოვრებთა წარმომადგენელნი, რათა მათთან ერთად იბჭონ—როგორ მოიქცნენ, თუ ომი ასტყდა ბულგარეთის სანაპიროების მხრითაო. პრუტისა და დუნაის შესართავი დანაღმეს.

გერმანელები უარსა ჰყოფენ.

პაპის წინადადებას რომ საშობაოდ მებრძოლნი ხუთი დღით შესვენონ ცივი უარით შეხვდნენ გერმანელები, ასეთი შესვენება ჩვენ არ გვეჭირვებაო.

ისევ დასავლეთ ფრონტისკენ.

სერბთა საწინააღმდეგოდ გერმანელები მცირე ჯარებს სტოვებენ. მთავარი ძალები კი ისევ დასავლეთ ფრონტისაკენ მიჰყავთ ინგლის-ფრანგთა ბრძოლის პირის გასარღვევად. ამ დიად ლაშქრობაში მონაწილეობას მიიღებენ ბულგარები და ოსმალებიო.

ბრძოლის ველზე

მხნედ იბრძოდა სერბეთის ჯარი. გმირობით თავდადებულმა უაღრესი მაგალითი გამოიჩინა, ერთი მტკაველი მიწა უბრძოლველად არ დაუთმია მოპირდაპირისთვის. საუკეთესო მისი ძალები განადგურდა, ავსტრო-გერმანეთ-ბულგარეთის ჯარები რკინის რკალით შემოეჭდნენ მას და სული ამოხადეს. გმირობამ დამარცხებას ვერ გადაარჩინა სერბეთის ჯარი. ჩრდილოეთის ნაწილში მომქმედი ჯარი პრიზრენთან სასტიკი დამარცხების შემდეგ, ორად იქმნა გაჭრილი. ჯარის ერთმა ნაწილმა თავი მთაშავეთს შეაფარა, მეორემ კიდევ—ალბანეთს. სამხრეთ სერბეთში მომქმედი ჯარი თან და თან ჰკარგავს პოზიციებს. გუშინდელ დეპეშის ცნობით, აქ სერბებმა დასტოვეს პრილეპი და ალბანეთისკენ იხევენ. ბულგარები მონასტირისკენ მიეშურებიან, სულ რაღაც 15—20 ვერსის სიშორეზე არიან ამ ქალაქიდან. მონასტირის მდგომარეობა სრულებით საიმედო არ არის. უცხოეთის დიპლომატიური კორპუსი, რომელიც სერბეთის მთავრობასთან იყო განწესებული, ერთ კვირაზე მეტია, რაც სალონიკში გადავიდა. კიდევ რამოდენიმე დღე და სერბეთის ჯარი სულ ერთიანად მოსწყდება სამშობლო ნიადაგს. საეჭვო მისი თავშესაფარი ალბანეთ-მთაშავეთი სამშობლო მიწაზედ უფრო უერთგულოს სერბეთის ჯარს, რადგანაც გამარჯვებული მოპირდაპირენი თავიანთ შემოტევას არ შეაჩერებენ და ამ სამშობლოში შესდევენ. თვით მთაშავეთი, როგორც ამას მისი მეფის ნიკოლოზის მოწოდება მოწმობს, განსაცდელშია ჩავარდნილი. ძლევა-მოსილი ავსტრიის ჯარი ამ უკანასკნელ დღეების განმავლობაში საგრძნობლად ამარცხებს და პოზიციას პოზიციაზე აცლევინებს.

რიგის რაიონის ფრონტზე, ალაგ-ალაგ საარტილერიო ბრძოლა გაჩაღებულა, რიგასა და დვინსკის რაიონების ფრონტზე ცვლილებას ადგილი არა ჰქონია. დვინსკის ჩრდილოეთით, ილუკსტისა და სოფელ კაზიმირიშკის რაიონში, 14 გიორგობისთვეს ღამე გერმანელებს ძლიერი საარტილერიო სროლა აუტეხნიათ რუსების თხრილებისა და სანგრებისთვის, ხოლო 15 გიორგობისთვეს დილით, ისინი იერიშზე გადასულან. რუსებს პასუხი გაუციათ თოფისა და ზარბაზნის სროლით და გერმანელები უკუ უქცევიათ, თითონ გადასულან კონტრ-იერიშზე. წაურთმევიათ სოფელი კაზიმირიშკი. რუსის ჯარის 1 ნაწილი ილუკსტში შეჭრილა, აუღია ორი სასაფლაო და ილუკსტის სამხრეთის სანგრები. საარტილერიო ბრძოლა ჯერაც არ შეწყვეტილა, დანარჩენ ფრონტზე, მდ. პრიპეტამდე არავითარი ცვლილება არ მომხდარა. პინსკის სამხრეთ-დასავლეთით რუსის რაზმები გერმანელთა წრეში შეჭრილა და ნეველთან გაუნადგურებია შტაბის დამცველი რაზმი. ტყვედ წამოუყვანიათ ორი გენერალი, ექიმი და სამი ოფიცერი და რამდენიმე ჯარისკაცი. მდინარე სტირის მარცხენა ნაპირზე გერმანელებმა უკან დაიხიეს სოფელ კოსლინიჩთან და ჩარტორისკთან.

კავკასიის ფრონტზე ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა.

მეგრი.

თბილისი, 18 გიორგობისთვე.

კიდევ ახალი ასპარეზი! გერმანეთის სახელმწიფოებრივი ენერგია და მისი მიზან-შეწონილი მოქმედება არა-ამქვეყნიურ წარმოშობისაა. ომის გარედ დარჩენილ ქვეყნებს, თუ კი ესენი განსაკუთრებულ სტრატეგიულ ღირებულებას წარმოადგენენ, გერმანეთის ხერხიანი დიპლომატია და ძლევამოსილი იარაღი თანდათან თავის პარტნერებად ხდის. იგი ახალ ძალებს იმატებს; ჰქმნის ახალ ფრონტებს და მოპირდაპირე სახელმწიფოებს ძალებსა და ყურადღებას აქსაქსვინებს. სრულის გამარჯვებით დაგვირგვინდა პირველი ნაბიჯი, რომელიც გერმანეთმა გადადგა ამ გზაზედ, მას შემდეგ რაც რუსეთისა და საფრანგეთის ტერიტორიაზედ ბრძოლამ სწრაფი ხასიათი დაჰკარგა და კრიზისის ხანაში ჩადგა. ბალკანეთის ამბები გერმანეთის გამარჯვების უტყუარი მაგალითია. შეთანხმების სახელმწიფონი ამას არ მალვენ და ერთმანეთსაც და თავისთავსაც უმოქმედობას უსაყვედურებენ. ბალკანეთის ვითარებამ გარკვეული სახე მიიღო თუ არა, გერმანეთი სპარსეთში შეუდგა მოქმედებას.

გერმანეთის მთავრობის აგენტები აქაც ისე მოქმედებენ, როგორც ეს იყო ბულგარეთში, ვიდრე ეს უკანასკნელი საომრად გამოვიდოდა. სპარსეთი რომ მოწყობილი სახელმწიფო ყოფილიყო, გაწვრთნილი და რეგულიარი სამხედრო ძალის პატრონი, იგი აქამდისაც ბრძოლის ველზე გამოვიდოდა გერმანეთ-ოსმალეთის გვერდით, რადგანაც მის ფარული სიმპატიები აშკარად ამ სახელმწიფოთა მხარეზეა. ამ სიმპატიებს თვისი გასამართლებელი საბუთები თვით სპარსეთის სინამდვილეში აქვს. რუსეთი და ინგლისი, რომელთა ფაქტიურ გავლენის ქვეშ იმყოფება მთელი სპარსეთი და რომელთა სრული ბატონობა სპარსეთის საქმეებში, ამ უკანასკნელ ქვეყნის სუვერენობის შეხუტებას მოასწავებს,—ცხადია ვერ იქნება შაჰის გულწრფელ სიყვარულის საგნად. ეს ადვილი გასაგებია და ამიტომაც რუსეთ-ინგლისის მთავრობანი იმ თავითვე თავიანთ სამხედრო ძალის გაძლიერებას უნდა ცდილიყვნენ, რათა ყოველგვარი მოსალოდნელი არა სასიამოვნო სიურპრიზი თავიდან აეცდინათ. ეს არც ისე ძნელი იყო რუსეთისათვის, რომელიც დიდი ხანია რაც სპარსათში დგას საკუთარის ჯარით. მაგრამ ომის დაწყებამდე ინგლის-რუსეთის დიპლომატია ერთი-მეორეს აბათილებდა სპარსეთში. ხოლო დღეს, თვით ომის ხანაში ვერც ერთი და ვერც მეორე შემოქმედებით ძლიერებას ვერ იჩენს, რომ წარსულის შეცდომა გაასწოროს და ახალი ორიენტაცია მისცეს სპარსეთის ხალხის ნებისყოფას. ამ მხრით ისინი მათ მოპირდაპირეზე—გერმანეთზე სუსტნი აღმოჩნდნენ. დღეს ფაქტიურად მთელი სპარსეთი გერმანეთ-ოსმალეთის ხელშია; სპარსეთის პარლამენტის—მეჯლისის—დემოკრატი წევრები 30—40-მდე დეპუტატი, და სხვა დემოკრატიული პოლიტიკური პარტიების მიმდევრებიც, თეირანიდან უკვე გავიდნენ გერმანეთ-ოსმალეთ-ავსტრეთის ელჩებთან ერთად მოქმედებენ.

სპარსეთის ჟანდარმთა რაზმები, ერთად-ერთი რეგულიარი ჯარები, ქამადანში ამბოხებას ახდენენ და რუსეთ-ინგლისის წინააღმდეგ მოქმედებენ. ყველა ეს ნიშანი ცხად ჰყოფს, რომ სპარსეთი, შეიარაღდება თუ არა სახელდახელოთ გერმანეთ-ოსმალეთის აგენტების წყალობით, არ დაიგვიანებს რუსეთ-ინგლისის წინააღმდეგ გალაშქრებას, თუ ამ სახელმწიფოებმა არ დაასწრეს და ფიზიკურის ძალით არ დაიმორჩილეს იგი. ამგვარად, სპარსეთი ერთი შესაძლო ფრონტთაგანია, რომელიც რუსეთის ჯარსა და ყურადღებას მიიქცევს და დაქსაქსავს. ამავე დროს გერმანეთის აგენტებმა ჩინეთშიაც მრავლად იჩინეს თავი.

სიტყვიერი აგიტაცია, იარაღისა და ფულის დარიგება, ჩინეთის მთავრობაზე გავლენის მოპოება, ყველაფერი ეს თავის წესით მიმდინარეობს. გერმანელმა ოფიცრებმა უკვე დაიწყეს ჩინეთის სამხედრო სამსახურში შესვლა. ცზიანანის არსენალის არტილერიის უფროსად დაინიშნა გერმანელი ფონ-რიუდინგერი. რუსეთის საზღვრებზე ხუნხუზებმა თარეში დაიწყეს და რუსებთან ერთი-ორი შეტაკებაც ჰქონდათ. რუსეთის პრესა გაკვირვების ნიშნად გადაქცეულა ამ მოვლენის წინაშე და არ უნდა დაიჯეროს, რომ „კავშირის დიპლომატია თუნდა ერთის წუთით ნებას დართავდეს, რომ ჩინეთშიც განმეორდეს ოსმალეთისა და სპარსეთის ვაკხანალია“. იქნებ ჩინეთიც ერთ შესაძლო ფრონტად გადაიქცეს. რუსეთი მოუცავს მწუხარებისა და შფოთის გრძნობას ამ გამოურკვეველ მდგომარეობის წინაშე და მოკავშირეებთან ერთად იგი თავის-თავს ეკითხება, ნუ თუ კიდევ ახალი ფრონტებიო?!

ახალი ამბავი

◆ **სვეტიცხოვლის განმაახლებელ კომიტეტის** სხდომა 16 გიორგობისთვეს შესდგა, ეპ. ანტონის თავმჯდომარეობით. კრებას დაესწრნენ ბ-ნნი ალ. ყიფშიძე, ი. გ. რატიშვილი, არქ. პიროსი. დეკ. ნ. თალაკვაძე, კ. ცინცაძე ს. შოშიაშვილი. დსხ. კრებას მოხსენდა მეფის ნაცვლის დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის უხვი შეწირულების (1000 მან.) ამბავი და თავად-აზნაურობის შეწირულებანი 500 მან. მცხეთის სამიტროპოლიტო დარბაზის განსაახლებლად. კრებამ დაადგინა აირჩიოს განსაკუთრებული დეპუტაცია მეფის ნაცვალთან წარსადგენად და მადლობის მოსახდელად.

◆ **ახალი გარდასახადი მგზავრებზე** გზათა მინისტრს განზრახვა აქვს მღვითა, მდინარითა, თუ გზატკეცილებით მიმომსვლელთ გადასახადი დაედოთ იმის მსგავსად, როგორც წითელ ჯვრის სასარგებლოდ რკინის გზით მოგზაურებზეა დაწესებული გარდასახადი. ეს ახალი გარდასახადი გადაიდება ალექსანდრეს სახელობის კომიტეტის სასარგებლოდ, რომელიც ომიანობისაგან დაზარალებულ ჯარისკაცთა შვილებს მოჰხმარდება. განზრახულია თითო მანეთზე ხუთი შაური შემოიღონ გარდასახადათ.

◆ **ქართული წარმოდგენა.** დღეს, ხარფუხის საზოგად. კლუბში ქართული დრამატიული საზოგადოების დასი წარმოადგენს „ბაიყუშს“ ა. ცაგარლისას და „ადვოკატთან“—გუნიასის. წარმოდგენაზედ შესვლა უფასოა.

◆ **წერა-კითხვის საზოგადოება.** შაბათს 21 გიორგობისთვეს, დილის 11 საათზე, დაიწყება საზოგადო კრება ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების წევრთა. პირველად წაკითხულ იქმნება საზოგადოების თავმჯდომარის მიერ მოხსენება საზოგადოების მოღვაწეობის შესახებ 35 წლის განმავლობაში. ამ ხნის აღსანიშნავად კრებაზე მიწვეულია გორის ეპისკოპოსი ანტონი, რომელიც, მოხსენების წაკითხვის შემდეგ, თავისი კრებულითურთ გადაიხდის სამშვიდობო პარაკლისს. იგალობებს ფილარმონიულ საზოგადოების მგალობელთა გუნდი. შემდეგ მთელი კრება გადაღებულ იქნება ფოტოგრაფიულ სურათზე.

◆ **წვრილი საკრედიტო ამხანაგობათა თათბირი.** 21 გიორგობისთვეს ქუთაისში დანიშნულია ქუთაისისა, ლეჩხუმისა და რაჭის წვრილ საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების თათბირი. ამ თათბირმა უნდა განიხილოს შემდეგი საკითხები: 1) სიმინდისა, შაბიამან-გოგირდისა და აბრეშუმის ჭიის თესლის დაბარებისა. 2) დასახელებულ ოპერაციისათვის სახსრის გამონახვა; 3) კავშირის დაარსება საკრედიტო და შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა; 4 საშუამავლო [illegible] ამხანაგობათა [illegible] 5) საშუალებათა გამონახვა მიბარებულ ფულის გასამლიერებლდა; 6) მიმდინარე საკითხები და სხ.

◆ რედაქციამ მიიღო **ბალკანეთის რუქა** შედგენილი **ბ. ეშმაკისა**, გამოცემა კანტორა „განათლებისა“ ფასი ერთი აბაზი.

◆ **ბავშვის დაწვა.** სარატოვში საოლქო სასამართლომ გაარჩია ამას წინად მეტად საინტერესო საქმე ორენბურგელ ვაჭრის ი. მოსიევის ქალისა, რომელსაც ბრალი ედებოდა თავის თოთო ბავშვის დაწვაში.

1914 წ. ქრისტეშობისთვეში ქ. სარატოვში მოისევის მსახურ ქალს ბუხარში ცეცხლ მოკიდებულ მუგუზლებთან ერთად შეუნიშნავს მოისევის ბავშვი, რომელიც მეეზოვეს დახმარებით საჩქაროდ გამოიღეს. ვაჭარმა მოისევმა და თავის ქალმა მსახურთ უბრძანეს დამწვარ, ბავშვის გვამი ბაკში დამალეთო“ მეეზოვემ შეასრულა ბრძანება. დამწვარი გვამი დიდხანს ეგდო ხსენებულ ბაკში ბოლოს მეეზოვემ შეატყობინა პოლიციას.

პასუხის გებაში მიცემულმა მოისევის ქალმა განაცხადა, რომ მას ბავშვი მკვდარი დაებადა, და რადგან მეტად სცხვენოდა თავის საყვარელ სტუდენტ კუზმინის, ამიტომ ბავშვი ბუხარში შედო არა დასაწვავად, არამედ დასამალად, სამოსამართლო პალატამ მოისევის ქალს პირველად თვენახევრის ციხე გადაუწყვიტა, მხოლოდ მეორე განსაჩივრების დროს სამი დღის სასჯელით შეუცვალა. ამ ჟამად მოისეევის ქალი სტ. კუზმინს ჰყავს ცოლად.

◆ **ქალები სახელმწიფო სამსახურში.** ფინანსთა სამინისტრომ განიზრახა ქალები სამსახურის დროს მერვე კლასის თანამდებობის მიღებაში მამაკაცებს გაუთანასწოროს; ქალებს ასეთი თანამდებობის მიღება შეუძლიანთ სახელმწიფო ბანკსა და შემნახველ-გამსესხებელ კასებშიაც, მხოლოდ საშუალო განათლება მაინც უნდა ჰქონდეთ მიღებული. ქალებს მიიღებენ როგორც კერძო სამსახურში, ისე სახელმწიფო სამსახურში ჩარიცხვითაც თუმცა „ჩინი“ არ მიეცემათ და არც წარჩინება. გათხოვების შემდეგ პენსიაც შეენახებათ, იმისდა მიუხედავად თუ ქმრის პენსიასაც მიიღებენ.

◆ **ქორწინება მარხვაში.** უწმიდეს სინოდს აუარებელი თხოვნები მისდის ბრძოლის ველზე მყოფ აფიცრებისა და ჯარისკაცებისაგან; სთხოვენ, ომიანობის გამო ნება მოგვეცით შობის მარხვისა და წყალკურთხევის დღესასწაულებშიაც დაქორწინებისაო. სინოდის კანცელარიამ განმარტა, არავითარი ასეთი წესი სინოდს არ შემოუღიაო.

◆ **გადამდები სენი.** გუშინ ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ხოლერიანი 9, ქუნთრუშიანი 134, სახადიანი 40, საოფლიანი 36, ხუნაგიანი 11, ყვავილიანი 2 და მუცელათი ავადმყოფი 1 კაცი.

უმეფობა

ლიტერატურული ტრაური

ფრანგებს თავიანთ რესპუბლიკანელობით ძალიან მოაქვთ თავი... მცირე შემთხვევას არ გაუშვებენ ისე, რომ ამაზე ამპარტავნული პათოსით არ ალაპარაკდენ. ერთ დღეს, რომ გათენდეს ის ზმანებული დილა ყველა ქვეყანათა გარესპუბლიკებისა, ფრანგები მაინც ყოველთვის სხვანაირად ხაზს გაუსვამენ თავიანთ საკუთარს, როგორც ეხლა არჩევენ უკვე არსებულ რესპუბლიკებისაგან. ასე მოიქცევიან იმ შემთხვევაშიც, რომ სხვისთ ძალიან ჰგავდეს მათ საკუთარს... ფრანგებმა შეჰქმნეს ერთგვარი კულტი რესპუბლიკის, როგორც ოდესღაც იმპერატორის კულტი ქონდათ...

მაგრამ ფრანგებს მაინც გული წყდებათ მეფეებზე...

ცნობილია ისტორია პოეტის ვილიე დელილ ადანის საბერძნეთის ტახტზე პრეტენდენტობის, ვილიე დელილ ადანის, რომელსაც ვერც გრაფობამ, ვერც გენიამ ვერაფერი უშველა და სიღატაკეში დალია თავისი დიდი სული.

— „ჩემი გონება თავისუფლების მოყვარულია, მაგრამ მე ტემპერამენტი მაქვს იაკობისტისა.

მე ქედს ვიდრეკ სკიპეტრის წინ, ძალა მე მაჯადოებს, ხელმწიფობის წინ ჩემი მუხლები იკეცებიან. ვერ გავხსნი ისე გოტიურ ალმანახს, რომ არ ავღელდე. შოტლანდიაში მოხეტიალე პრეტენდენტს, რომ გამოეწოდება ჩემთვის ხელი, იდეალური ხელი სტიუარტის, რომლითაც იმას ყველგან ცნობილობდენ, და ვკოცნიდი ერთ მუხლზე დაჩოქებული, ცრემლებით თვალებზე“, ამბობს თავის თავზე სენვიქტორი.

ასე იტყოდენ ბარბიე დორკალი და შარლ ბოდლერი, თუმცა პირველმა ადრე ძალიან ბევრი იშრომა რესპუბლიკისთვის და მეორე ბარიკადებზეც იბრძოდა. მართალია ესენი პოეტები არიან, და არ შეიძლება მთელი ერის მათით დახასიათება, მაგრამ ცნობილია პარადოქსი: წარსულის ისტორია —ისტორიაა ლიტერატურის, რომელიც დაკვირვების შემდეგ მართალია სულ არ[illegible] მაგრამ მაინც კარგავს პარადოქს[illegible] ხასიათს. სწორედ ამნაირმა სულის განწყობილებამ წარმოშვა გრძნობიერი ჩვეულება ფრანგი პოეტების, რომ თავიანთ შორის მაინც ამოირჩიონ მეფე. ფრანგეთში მეფობს ახლა დღეგძელი პოეტი პოლ ფორი.

როცა ამ საგანზე ვებაასებოდი ერთ ცნობილ რუსეთელ მწერლის ცოლს, და ვკითხე, რად არ აქვთ რუსეთში ამნაირი ჩვეულება მეთქი,—იმან მიპასუხა.

— ძალიან უბრალოთ.—ჩვენ გვყავს იმპერატორი!..

და ამით ყველაფერი ითქვა.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ პოეტებისგან მეფის არჩევა, ჯერ მარტო ფრანგეთში არსებობს, თითქმის ყველგან დამყარდა ერთნაირი ჩვეულება ყველაზე დიდი მწერლის არჩევის. ხანდისხან ეს თავისთავად ხდება, ერთი რომელიმე მწერალი ამაღლდება და მიიქცევს ყველას ყურადღებას, და ხალხიც იმას უყურებს, როგორც უგვირგვინო მეფეს. დღეს, როდესაც იმპერატორ ვილჰელმის გაშიშვლებული ხმალი ურტყამს ევროპას, იმას გვერდში უდგას ჰერდჰარტ ჰაუპტმანი, რკინის ჯვარით დაჯილდოებული და ანთხევს გერმანულ ქედმაღლობის ნიაღვარს და განა ეს შემთხვევით მოხდა?

რუსეთში დარჩენილა ლეგენდა ალექსანდრე პუშკინის ბეჭედის, რომელიც მის სიკვდილის შემდეგ უნდა რგებოდა საუკეთესო მწერალს. ეს საიდუმლო გამჟღავნა ტურგენევმა, რომელსაც ერგო პუშკინის ეს ბეჭედი, მან კი სიკვდილის წინეთ ლევ ტოლსტოის გადასცა ეს ლევ ტოლსტოიმ კი საფლავში ჩაიტანა და არავისთვის არ დაუტოვებია. ტოლსტოი ელოდა მისი მემკვიდრის უბრალო ხალხიდან დაბადებას, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მან საკმაო დრო იცოცხლა და შეეძლო მოსწრებოდა თავის „წინასწარმეტყველების ასრულებას, მაინც აუხდენელ სურვილით მოკვდა. ტოლსტოის სიკვდილის შემდეგ დაისვა საკითხი მის მემკვიდრის არჩევისა:

დაასახელეს: დიმიტრი მერეჟკოვსკი, ლეონიდე ანდრეევი, მაქსიმე გორკი და წარმოიდგინეთ ა. კუპრინიც, არჩევანი არავიზე არ გაუჩერებიათ.

შემდეგ ვოლფის ჟურნალმა გამართა ანკეტა პოეტებზე... ყველაზე მეტი ხმა მიიღო კ. ბალმონტმა (2346), პ. ი. (იაკუბოვიჩი) მიიღო 2000, ვალერი ბრიუსოვმა 400... იაკუბოვიჩის ამნაირი დაფასება კურიოზია, მაგრამ რუსეთელი საზოგადოებისთვის ძალიან სიმპტომატიური:

ბ

აკაკი წერეთელს პირველად რუსეთში დაარქვეს საქართველოს უგვირგვინო მეფე, მაგრამ, როდესაც ქართველმა საზოგადოებამ აკაკის იუბილე გადაუხადა დიდი ზეიმით, ესეც ერთგვარი დაგვირგვინება იყო. მეფობა არავის უხსენებია, ალბად იმიტომ, რომ ქართველმა ერმა დაივიწყა მეფური ტრადიციები. ეს ისე ხალხის პსიხოლოგიით არ არის გამოწვეული, როგორც თვითონ უკანასკნელ მეფეთა უფერულობით. ქართლ-კახეთში და მთაში ჯერ კიდევ ცოცხალია ერეკლეს მოგონება და მოხეტიალე ტანჯული ბატონიშვილის ალექსანდრესი, მაშინ როდესაც იმერეთში დანგრეული რამდენიმე სასახლე და ციხე თუ მოაგონებს უკანასკნელ მეფეთა არსებობას ანდა რომელიმე ტრაბახა აზნაური თუ გაშლის თავის აზნაურობის „გრამოტას“ სოლომონისაგან ნაბოძებს და ბებერი მედავითნე თვალს გადხავლებს რა სოფელს, თავმომწონეთ იტყვის, ეს სოფელი ჩემ პაპას კარის დეკანოზს აჩუქა სოლომონ მეფემ და გაშლის გენათელის ბეჭედით გაშავებულ გძელ ქაღალდს, სადაც მართლაც სწერია რაღაც ამგვარი...

როგორც მეფე ჰკრებს ერს ერთ პოლიტიკურ ერთეულად და ერთად ერთი პატრონია დიადი ოჯახის, სახელმწიფოსი, ისე დიდი მწერალში იკრიბება მთელი ერის სულიერი ძალა და ერთად ერთი უფალია და პატრონი ერის გულისა. ამას ეროვნულ შეგნებისთვის და ეროვნების განმტკიცებისთვის ფრიადი მნიშვნელობა აქვს. სოციოლოგიაშიც მიაკუთნეს მას ადგილი და მიიღეს ერთ მქნელ ერთეულად, ნაციის ძნელ პრობლემის ახსნისთვის და ქვია ამას: გმირის გავლენა ეროვნების ქმნის პროცესში.

ევროპაში რომ გაიცნობენ ვინმე რუსეთელს რამდენიმე წამის შემდეგ მუსაიფში გაისმება:—ტოლსტოი!..

ეს მაგიური სიტყვაა. აქ სრულიად უცნობი ადამიანები ფიქრობენ ერთ საგანზე, აქ ტოლსტოი, თითქო ფარავს რუსეთს, როგორც კულტურულ კატეგორიას.

როცა ქართველი უცხოელს ელაპარაკება, რამდენიმ სიტყვის შემდეგ რუსთაველზე და თამარ მეფეზე, ამ საქართველოს დიდების ტყუპზე დაიწყებს მზობას...

და ასე ყველგან კერძო მუსაიფში... ბანკეტზე.. სალონში... და დარწმუნებული უნდა ვყოფილიყავით, რომ სახელმწიფო სათათბიროში გაისმებოდა ეს სახელი, რომ ჩვენ დეპუტატებს სურვილი ქონოდათ როდისმე თავიანთ ქართველობის გამჟღავნებისა.

რუსთაველი, ილია, აკაკი...

როცა ილია და აკაკი ცოცხალი იყვენ, ორივე პრეტედენტი იყვენ მეფობაზე, ბევრი ქართველი ირჩევდა ამ საერთო მეფობას, გულდაუწყვეტელად ვერც ერთს ვერ მისცემდა ხმას თუ „აკაკის ბედნიერი ნიჭის ამბავი ყველას მოეხსენებოდა“ (ილიას სიტყვებია), თუ აკაკის ფრთა აშვებული პოეტური ოცნება სწვავდა და აბრმავებდა თანამედროვეთ, ილიას ბუმბერაზობაც ატყვებდა, მისი მართალია მძიმე, მაგრამ მაინც მფრინავი პოეზია ისე ფართოდ იჭერდა ჰაერს, რომ ქართველი ვერ შეძლებდა მის დათმობას.

ეკ. გაბაშვილის ქალი იგონებს: ერთხელ ბანკის კრების შემდეგ, სადაც ილია ქუხდა ქართულ თეატრის ბალში ფრანგი სტუმრები დაეკითხნენ ქართველებს (სრულიად არა შემთხვევით ფრანგები) ვინა გყავთ ქართველებს დიდი მწერალი, დიდი კაციო. იქვე შესწრეპულ მსახიობს ვალერიან გუნიას ენა მოსწრებით უპასუხნია ფრანგულად:

— Je yâ un jlia“.

მართალია სიტყვის მოსწრება კარგია: მაგრამ ბევრი ქართველი იგრძნობდა ამ სიტყვების უხერხულობას.

გ.

ილიას სიკვდილის შემდეგ ვის ჰქონდა ორი აზრი, რომ აკაკი იყო პოეზიის მეფე. აკაკი დადიოდა საქართველოში კუთხიდან კუთხემდე და იმას ეგებებოდენ ზეიმით. და ბევრჯერ აცრემლებულა აკაკი ამ მიღებისაგან და ვინ იცის რას ფიქრობდა აკაკი, იმ დროს რაჭველები და კახელები, რომ ეხვიენ ირგვლივ. „მოდი ნახეს“ თან გაზრდილს და მის გვარის კაცს არც ისე დიდი სითამამე სჭიროდა რომ თავი არა მარტო პოეზიის მეფედ წარმოედგინა.

აკაკის მემკვიდრე არ დაუტოვებია.

მაშინ როდესაც ილიამ საწყალი ფშაველის წინ გაიშიშვლა გვირგვინოსანი თავი და აკურთხა ვაჟა, აკაკი ჭირვეულობდა, ერთხელ ჩვენთან იმან აქო დ. თ—მაშვილი, როდესაც ჩვენ ვერ დავმალეთ გაკვირვება... იმანაც გაიცინა:

— ეს იმიტომ რომ მე ძალიან მბაძავსო... და გაუკვირდა რატომ ვერ გავიგეთ ოხუნჯობა.

ხანდისხან აკაკი დინჯათაც ლაპარაკობდა პ. ცახელზე, როგორც თავის მემკვიდრეზე.

აკაკის გვერდის ახვევა ვაჟა-ფშაველასი შეიძლება ასე აიხსნას.

რამდენიმე დღის წინად გარდაცვალებული ბრწყინვალე ფრანგი კრიტიკოსი რემი დე მურმონი თავის წიგნში: „წიგნი ნიღაბთა“ ამბობს:

„სიკვდილის წინ ბოდლერმა წაიკითხა პირველი ლექსები სტეფანე მალარმესი... ის აღელდა, პოეტებს არ უყვართ თავის შემდეგ არავითარ მემკვიდრეების დატოვება, მათ სურთ დგომა მარტოობაში, თავის გენიის საფლავში წაღება. მაგრამ მალარმე მაინც იყო ბოდლერისტი, მხოლოდ მოდგმათა ფილიაციის აზრით“...

ამავე აზრით იყო ვაჟაც აკაკისტი.

თუმცა აკაკი ვაჟას არ იღებდა, მაგრამ იმის შემდეგ მეფობა იმაზე გადავიდა... ეს იყო სურვილი მთელი ერისა.

ვაჟა ფრიად საინტერესო სახეა ქართველი მწერლის.

აკაკიმ და ილიამ ისტორიული საქართველო შეიმცნეს და მისი დანგრეული სახე, შლილი ხაზები გაამთელეს, მხოლოდ აკაკი და ილია წარმომადგენელი იყვენ იმ წოდების, რო-

◆ **საბირჟო კომიტეტის** სხდომა დღეს არის დანიშნული.

◆ **სამხედრო სამრეწველო** კომიტეტის კრება დღეს არის დანიშნული.

◆ **კ. ხ. მიხაილოვს** თბილისის რუსულ პრესის თანამშრომელს (ტერეჩნინის ფსევდონიმით) დღეს ასაფლავებენ.

◆ **სამოსამართლო პალატაში** გუშინ გაირჩა საქმე ბოქაულის ფ. ქ. ალანიას საქმე, რომელსაც ბრალდებოდა სიტყვითა და საქმით შეურაცხყოფა ფოსტა-ტელეგრაფის მოხელის ფ. ფ. კოფთუნენკოსი, მცხეთის დღეობაზე 1913 წელს. სასამართლომ 7 დღით დაპატიმრება მიუსაჯა ბ-ნ ალანიას პოლიციის სამმართველოში. ალანიას იცავდა ნაფ. ვექ. თანაშემწე ბ-ნი ქართველიშვილი.

◆ **შეწირულება.** მოსე ჯანაშვილმა შესწირა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას „აბდულ მესია" 150 ცალი და „აკაკი და მზე" 500 ცალი.

◆ **შუამდგომლობის უარყოფა.** კავკასიის უმაღლეს მთავრობის მიერ შუამდგომლობა იყო აღძრული, რომ აქაურ სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეთ, ცხოვრების გაძვირების გამო, დროებით დახმარება მისცემოდა ხაზინიდან. მინისტრთა საბჭოს შუამდგომლობა არ შეუწყნარებია.

◆ **სურსათი.** 14 გიორგობისთვეს თბილისში რკინის გზით შემოიტანეს: ფქვილი 51 ვაგ., სიმინდი 1 ვაგ., მარილი 2 ვაგ., ბოსტნეული 3 ვაგ., კვერცხები 1 ვაგ., ქერი 5 ვაგ., ქატო 1 ვაგ., ახალი თევზი 1 ვაგ., ქონი 1 ვაგ., ნავთი 3 ვაგ. ღვინო 436 ფუთი.

◆ **სომეხ სოფლელთათვის.** ბაქოელ მდიდარ ვაჭრებს წრე შეუდგენიათ, რომ დამშეულ სომხებს საკვები მიაწოდონ. წრეს შეუგროვებია საკმაო თანხა და რუსეთში უყიდნია 40.000 ფუთი ფქვილი და 20.000 ფუთი ხორბალი. ეხლა წრე სთხოვს სომხურ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას, რომ შეძენილ საქონლის გადმოზიდვაში დაეხმაროს.

◆ **ახალი სასტატისტიკო კრებული.** მიწათმოქმედების სამინისტროს მთავარ რწმუნებულის, ბ-ნ შაშკოვსკის, კანცელარიასთან არსდება სასტატისტიკო კრებული, რომელშიაც დრო გამოშვებით მოთავსდება ყოველგვარი ცნობანი სურსათ-სანოვაგის შესახებ ამიერ კავკასიაში.

◆ **დ. ხონი.** ფუთი სიმინდი 1 მან. 10 კ. ფასობს, ფქვილი 1 მ. 20 კაპ.

◆ კოოპერატიული ფურნე უკვე დამთავრდა.

◆ ხონის დრამატიულ წრის გამგეობამ გადასწყვიტა ამ მოკლე ხანში გამართონ თეატრის შენობის ასაგებათ წარმოდგენები და საღამოები.

◆ **თათბირის დასრულება.** 16 გიორგობისთვეს, ღამის 11 საათზე, დასრულდა სასურსათო თათბირი, რომელიც მუშაობდა მეფის ნაცვლის თავმჯდომარეობით. კრების დასრულებისას მის იმპერატორებით უმაღლესობას თბილისის ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა ქალაქებისა და დაწესებულებათა წარმომადგენლების სახელით სიტყვით მიმართა, რომელიც ასე დაამთავრა: „უმდაბლესად თავს ვუკრავთ მეფის ნაცვალს და ძლიერის ხმით „ურას" შევსძახებთ სამშობლოს დიდი ომის გმირს".

◆ **საქველმოქმედო საზოგადოების ქუთაისის განყოფილება** სთხოვს საზოგადოების მთავარ გამგეობას, გამოგვიგზავნეთ წყალდიდობისაგანა დაზარალებულთა სასარგებლოდ შეგროვილი თანხა, რადგან ბევრგან ხალხი დიდ გასაჭირს განიცდის და ეხლავე საჭიროა დახმარებაო.

◆ ხონის ბულვარი ძლიერ უსუფთაოთ არის და არავინ ყურადღებას არ აქცევს.

◆ **ოდესა.** აქ გამოიცა სავალდებულო დადგენილება, რომლის ძალითაც სამასი თუმანით ჯარიმდება მეფურნე, თუ განზრახ შეამცირებს პურის ცხობას, აგრედვე ჯარიმდებიან ალაფები, უკეთუ ფქვილს განგებ არ აჩენენ, რათა მაზანდა ასწიონ.

ასეთი რამ ზომა ტფილისსაც არ აწყენდა, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა.

1918 წელს გასაწვევნი

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიჰმართა ყველა უწყებას, სადაც კი არსებობს უმაღლესი, საშუალო და დაბალი სასწავლებლები და განუმარტა, რომ შესაძლებელია 1916 წელს ჯარში გავიწვიოთ 1897 წელს დაბადებულნიო.

მოსწავლეთა საყურადღებოდ სამინისტრო აცხადებს, რომ შეღავათი არ მიეცემათ იმ მოწაფეებს, რომლებიც კენჭის ამოღებამდი დაასრულებენ სასწავლებელს, ან სასწავლებელს დასტოვებენ. ასეთ ყმაწვილებს ჯარში გაიწვევენ კურსის დამთავრებისა ან სასწავლებლის მიტოვების მერე პირველი თვის პირველ რიცხვშივე.

კბილის ექიმთა სასწავლებლის მოწაფეებს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიეცემათ შეღავათი ვადის გადადებით, თუ ამ სკოლებში შესულან არა უგვიანეს 1914 წ. 1 ღვინობისთვისა.

ასეთ შეღავათებს იძლევიან სამაზრო (საოლქო) და საქალაქო სამხედრო საკრებულოები, მთხოვნელთა ნამდვილ ბინადრობის ადგილებში, რისთვისაც მათ უნდა მიჰმართონ მოსწავლეებმა არა უგვიანეს 1916 წლის 1 იანვრისა, თან უნდა წაუმძღვარონ სასწავლებლის უფროსის მოწმობა, რომ სასწავლებელში ირიცხებიან.

იმ მოსწავლეთა, რომელთაც კანონით არ ენიჭებათ შეღავათი სწავლის დასრულებამდე, სასწავლებლის მთავრობას შეუძლიან სათანადო შუამდგომლობა აღძრას სამინისტროს ან მთავარ მმართველის წინაშე არა უგვიანეს 1915 წლის 1 დეკემბრისა.

უცხოეთში მყოფ მოსწავლეებს და თავისუფალ მსმენელთ არავითარი შეღავათი არ ეძლევათ.

ქალაქის საბჭო

16 გიორგობისთვეს ქალაქის საბჭოს კრება მოხდა **გ. დ. ჟურულის** თავჯდომარეობით. ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი და გამგეობის წევრნი ა. მ. არღუთინსკი და მ. ა. ჯაბარი. მეფის ნაცვლის სასახლეში არიან, სასურსათო თათბირზეო, — განაცხადა ბ-ნმა ჟურულმა. საბჭომ მოისმინა გამგეობის მოხსენება შესახებ იმისა, გარდაცვალებულ ბრანდმეისტერის კ. ნ. კალმიკოვის ქვრივს თვიურად დაენიშნოს ქალაქისაგან 50 მანეთიო. როგორც გამოირკვა, განსვენებულს არავითარი მამული და არც ქონება არ დარჩენია, მხოლოდ მისი ერთი თუმანი აღმოჩენილა შემნახველ კასაში; სარჩენად და მოსავლელად დარჩენილან ყოვლად უსახსრო ქვრივი და 3 მცირე წლოვანი ბავშვი. ხაზინამ შეიძლება დაუნიშნოს ქვრივს პენსიად მხოლოდ 15—20 მანეთი.

ხმ. ბაბოვის წინადადებით საბჭომ ქვრივისათვის გადასდო თვიურად 50 მან., ხოლო ობლების დასახმარებლად 25 მანეთი.

საბჭომ მოისმინა გამგეობის მოხსენება შესახებ ჯამაგირების გადიდებისა, ცეცხლის მქრობელ რაზმის მოსამსახურეთათვის და დაადგინა, — თითო მოსამსახურეს მოემატოს დროებით, თვიურად, სანამ სიძვირეა გამეფებული, ზოგს 3 და ზოგს 5 მანეთი, რაიცა წლიურ ხარჯს გაადიდებს 2256 მანეთით.

საბჭომ აგრეთვე მოისმინა და შეიწყნარა გამგეობის მოხსენება დასახმარებლად ფულის გადადების შესახებ, მასწავლებლად ნამყოფის ნინო ხუდადოვის სასარგებლოდ. დასასრულ საბჭომ გამგეობას ნება დართო მიჰყიდოს მარიამ გოლოვუზოვას რეიტერის ქუჩის პირად მდებარე საქალაქო მიწა საჟენი 10 მანეთად.

„კახეთის კავშირი"

მთელი კახეთის საზოგადოება ეხლა მომავალ „კავშირისათვის" ემზადება. ყველგან, სადაც უნდა მიხვიდე ამ კავშირზედ არის ლაპარაკი, მის მომავალ მოქმედებაზედ, ხელმძღვანელებზედ, მნიშვნელობაზედ. მართლაც ეს კავშირი, რომლის წესდება უკვე დამტკიცებულია და ფართო ფარგლებში მუშაობის უფლებას აძლევს ადამიანს, შეიძლება გარდაიქცეს უმთავრეს ეკონომიურ ღერძად, რომლის გარშემო ატრიალდება მთელი კახეთის წარმოება, გასაღება თუ მოხმარება. ჯერ ეხლავე, როდესაც ცალკე საკრედიტო კოოპერატივები მხნედ ეკიდებიან საშუამავლო ოპერაციებს, დიდ შეღავათს აძლევენ მცხოვრებთ — ნამეტნავად ეხლანდელ გაჭირვებულ მდგომარეობაში, და როდესაც საშუამავლო ოპერაციებს ხელს მოჰკიდებს მთელი კავშირი, იგი უდიდესი როლის თამაშს შეიძლებს. როგორც ერთ-ერთი მუხლი წესდებისა გულისხმობს — კავშირს შეუძლიან მოაწყოს წევრებისათვის ყოველგვარი დახმარება: მოაწყოს საწყობები სოფლის ნაწარმოებისათვის და ბაზარი უშოვოს, აღმოუჩინოს დახმარება კრედიტით საშუამავლო ოპერაციებისათვის მის შემადგენელ ამხანაგობათ, შეისყიდოს ყოველგვარი საჭირო საგანი, საოჯახო, სამეურნეო და სხ. რომ გაუნაწილოს წევრებს და აგრედვე შეასრულოს ყოველგვარი დავალება, რასაც მოითხოვს ცხოვრება ამხანაგობათაგან. მეორე უმთავრესი მუხლი მდგომარეობს იმაში, რომ 60 პროც. წმინდა მოგებას თავისი ნებით ანაწილებს წარმომადგენელთა კრება საქველმოქმედო და საკულტურო საქმეებისათვის. ეს მუხლი უკვე ერობის მიმსგავსებულ ფუნქციებსა ჰგულისხმობს და თუ კოოპერატივების წარმომადგენელნი ან საზოგადოთ კავშირის შემადგენლობა და ხელმძღვანელები შეგნებულად და გონივრულად მოეკიდებიან საქმეს — ამ მუხლის ძალით შეეძლებათ უამრავი სიკეთე დასდონ არა მარტო ცალკე ამხანაგობათ ან მათ წევრებს, არამედ იზრუნონ საერთო საქმეებზედაც; როგორიც არის მაგალითად საშინელი უგზოობა კახეთის სოფლებისა, უსუფთაობა, უსკოლობა და სხვა ათასი ნაკლულოვანება. ეს მუხლი კავშირის წესდებისა უფლებას აძლევს ხელმძღვანელთ იმგვარად რაციონალურად დააყენონ საშუამავლო და საკრედიტო ოპერაციები, რომ საერთო მოგება გააძლიერონ, რადგან ეკონომიური აღორძინება და გაძლიერება ჩვენს მდიდარ ქვეყანაში ისე ძნელი არ არის, როგორც საზოგადო, საერთო კულტურის და წინსვლელობის დამყარება. ჩვენი გლეხი ადვილად ითვისებს ყოველგვარ ეკონომიურ ცნებას, ინტენსიურ მეურნეობას, საქმის წარმოებას, მუშაობას, მაგრამ მეტად აკლია შეგნება ერთობისა, საერთო მოქმედებისა საერთო საქმეზე, როგორც არის მაგალითად გზები, წყლები, სკოლები და სხვ. საკულტურო საქმე. კოოპერაციის და ნამეტნავად კოოპერატივების კავშირის მთავარი ძალა სწორედ ამ საორგანიზაციო და შემაერთებელ ფუნქციებისაკენ უნდა იყოს მიმართული, რომ შეავსოს ის ნაკლი, რომელიც ყველაზედ მეტად აბრკოლებს ჩვენს წინსვლელობას. აი სწორედ ამიტომ არის საჭირო ზრუნვა იმ მოგების გაძლიერებაზედ, რომელიც უნდა მოხმარდეს საერთო საქმეს და ამით დაანახოს ხალხს და შეაჩვიოს, აღზარდოს იგი საზოგადოებრივ შემაერთებელ მოქმედებისათვის. კავშირის თვით არსებობა და მოქმედება უკვე შექმნის ისეთ ატმოსფერას, რომელიც ეკონომიურად გააძლიერებს მხარეს, მისცემს გასავალს სამეურნეო ნაწარმოებს, გააინტენსივებს შრომას, შექმნის ახალ დარგებს წარმოებისას და სხ., მაგრამ მიზანი კი კავშირისა, შეგნებული მიზანი, სწორედ ის ერთობლივი სულისკვეთების შექმნაა, რასაც ეწოდება ხალხის ორგანიზაცია. ორგანიზაცია კი წარმოუდგენელია, თუ მისი საფუძველი რეალ საქმეთა ნიადაგზე არა სდგას და მარტო თეორიულ, განყენებულ კარგ მოსაზრებათ ემყარება. რეალ შემაერთებელ საქმეს კი, ხალხის ორგანიულ შედუღებისათვის საჭიროა მატერიული სახსარი და ხელმძღვანელი ხალხი. აი ამ ხალხის და სახსრის შოვნაზედ უნდა იზრუნოს კახეთის მთელმა მოწინავე ინტელიგენციამ, რომ თავიდანვე სწორ ნიადაგზე დააყენონ კავშირის საქმე. უნდა ვთქვათ, რომ სახსარი სულ ადვილად საშოვნელია, თუ კავშირის ძლიერ საქმეს სათავეში მოექცევიან შეგნებული და პატიოსანი მუშაკნი. მათ უნარზედ არის დამოკიდებული მომავალი ბედი კავშირისა და კახეთის ინტელიგენციაც დღეს მათ ძებნაშია. გულწრფელად უსურვოდ გამოძებნა ასეთი პირების, რადგან მათ ხელში იქნება უკვე არსებულ მშვენიერ ობიექტიურ პირობებით სარგებლობა მთელი მხარის საკეთილდღეოდ. რამდენადაცა ვიცით, ასეთი პირები კიდეც მოიძებნებიან ადგილობრივ, თუ ჩვენი მხარის სხვა ადგილებში და იმედია კავშირის საქმე ღირსეულ ნიადაგზე იდგება.

რაე.

ქართ. საქველმოქმედო საზოგადოებაში

სიმინდის საკითხი.

ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ შესაძლოდ სცნო ჩრდილო კავკასიიდან სიმინდის შემოზიდვა დასავლეთ საქართველოში შავი ზღვით და ამ საქმის შესახებ ცნობებს დაუწყო შეკრება. საზოგადოების სოხუმის განყოფილების თავმჯდომარემ თავ. ნ. ყ. თავდგირიძემ შემდეგი საგულისხმიერო ცნობა მოაწოდა საზოგადოების მთავარ გამგეობას:

ჩვენ მიერ შეკრებილი ცნობით, — იწერება თავ. თავდგირიძე, — ფუთი სიმინდი შეიძლება შევიძინოთ სტავროპოლის გუბერნიაში 40 კაპ., რკინის გზის ხარჯი სტავროპოლიდან თუაპსემდე 15 კაპ., ზღვით მოტანა საქართველოს ყველა ნავთსადგურამდე (სოხუმი, ოჩემჩირე, ანაკლია, ფოთი, შეკვეთილი) 10 კაპ. ამ რიგად 1 ფუთი სიმინდი ამა თუ იმ ნავთსადგურში დაჯდება 65 კაპ. სტავროპოლის სიმინდი თუ არ გამოდგა და გროზნაში მოგვიხდა სიმინდის ყიდვა, რომელიც საუკეთესო სიმინდად ითვლება, იმ შემთხვევაში ფუთი სიმინდი, ჩვენს რომელიმე ნავთსადგურში მოტანილი, ერთი აბაზით მეტი დაჯდება, ე. ი. ფუთი ეღირება დაახლოვებით 85 კაპ.

საქველმოქმედო საზოგადოება ამ საკითხს თუ გადასწყვეტს, თავ. ნ. ყ. თავდგირიძე თვითვე კისრულობს აღნიშნულ ფასებში სიმინდის მოტანას ზღვის პირა ქვეყნებისათვის (გურია-სამეგრელო და აფხაზეთ-სამურზაყანო). ამასთანავე იგი იწერება, რომ მარტო სამურზაყანოს 600 ათასი ფუთი სიმინდი სჭირდება, ხოლო სამეგრელოს მილიონზე მეტიო.

სოფლის ვითარება

III

სოფლებს წელს სხვა მრავალ გვარ გაჭირვება-უბედურებასთან ერთად სტანჯავს ზაფხულიდან ზამთარში ჩაყოლილი სნეულებანი. ჩვენ სოფლებში საჭირო სამკურნალო საქმე არასდროს არ იყო ხეირიანად დაყენებული, სოფლის ხალხი ჯანმრთელობის მხრივ ყოველთვის ბედის ანაბარად რჩებოდა. წელს ხსენებულმა „ბედის ანაბარად და უყურადღებოდ მიტოვებამ" სოფლებში მეტად საზარელი და თან სავალალო სახე გვიჩვენა.

დღეს თითქმის ყოველი სოფელი ავადმყოფობა-სნეულების ბუდედ გადაიქცა, ეს მოვლენა ყველაზე უფრო **ხალხის ზედიზედ დამშევამ გამოიწვია**. ღატაკი, დამშეული მცხოვრების შვილები უმწიფო ხილით და სხვა ბალახეულობით იკვებებოდნენ, რაიც აჩენს ციებ-ცხელებას.

ამრიგად დღეს იშვიათია ოჯახი, სადაც ორი ან სამი ავადმყოფი საცოდავად და უპატრონოდ არ კვნესოდეს ლოგინზე.

აქ საჭირო არ არის ვრცლად აწერა სოფლის დღევანდელ უმწეო ყოფის, მას მისი გულწრფელი გულშემატკივარნი ორიოდე სიტყვითაც ადვილად წარმოიდგენენ.

სოფლებისთვის დღეს აუცილებელ საჭიროებას შეადგენს **სამკურნალო დახმარება**. ზოგიერთა სოფელი ვიცით ჩვენ, რომ იქ ფერშალიც კი არ არის, ხალხი ამისთანა სოფლებში იძულებულია, თუ მას შეძლება შესწევს, სხვა ადგილის ექიმს მიჰმართოს, გზაზე ავადმყოფის მდგომარეობა უფრო უარესდება ვიდრე იკურნება, ხოლო ვისაც ექიმთან წასასვლელად, ან მის სახლში მოსაწვევად სახსარი არ აქვს იგი ცრუმორწმუნეობითი შელოცვებში ლევს სულს.

განვიმეორებთ, რომ სამკურნალო დახმარება საჩქაროდ უნდა აღმოეჩინოს სოფლებს, რათა გამოვიხსნათ სოფლის ხალხი სრულიად დაავადება-დასნეულებისაგან.

ირი.

პროვინციის ქრონიკა

ქ უ თ ა ი ს ი.

— 10 გიორგობისთვეს კრება ჰქონდა ქუთ. საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილებას. ხსენებულ თათბირზე კითხვა დაისვა, არიან თუ არა გამოქცეულნი ქუთაისის გუბერნიაში, საქველმოქმედო საზოგადოებამ განაცხადა: „მართალია გამოქცეულთ ჩვენ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვერ ვხედავთ, მაგრამ უკვე არის დამამტკიცებელი საბუთები, რომ ქუთაისის გუბერნიაში გადმოხვეწილნი არიან, რომელნიც გაბნეულან სხვა და სხვა დაბა სოფლებში. ყრილობაზე დაადგინეს: ყოველგვარი დახმარება აღმოეჩინოს გამოქცეულთ და აგრედვე ომისაგან და წყალდიდობისაგან დაზარალებულ მცხოვრებთ. საზოგადოებამ აირჩია ერთი პირი, რომელიც თბ. საქ. საზ. მდივან პ. საყვარელიძესთან ერთად შემოივლის იმ ადგილებს სადაც გამოქცეულნი სუფევენ და ადგილობრივ გამოიკვლევენ მათ საჭიროება-მდგომარეობას.

— ს. ი. [illegible] გუბერნატორის წინაშე [illegible] შუამდგომლობს, რათა ნება მიეცეს [illegible] ქუთაისში ყოველ კვირეული ქართული გაზეთი სახელად „კომერცია".

— ქუთაისის საგუბერნიო საერობო აგრონომებმა გამოიწერეს ახალი გუთნები საცდელ მინდვრების დასამუშავებლად.

ს ვ ა ნ ე თ ი.

სვანეთის ინტელიგენცია მთავრობის წინაშე შუამდგომლობს, რათა ყურადღება მიექცეს სვანეთის დღევანდელ ჩამორჩენას. თხოულობენ მეურნეობის გამაუმჯობესებელ ზომათა მიღებას.

კ ა ვ კ ა ვ ი.

კავკავის მაჰმადიანებმა დაადგინეს, მოაწყონ საღამოს კურსები მოზრდილ წერა-კითხვის უცოდინარ მაჰმადიანთათვის.

გ ა ნ ჯ ა.

სომეხ-გამოქცეულთა ობოლ ბავშვთათვის აქ თავშესაფარი გაიხსნა.

თ ე ლ ა ვ ი.

მდ. ილწიფის პირზე იპოვეს გვამი თ. გ. ჯორჯაძისა. როგორც გამოირკვა, იგი დაუხრჩვიათ.

თ უ შ ე თ ი.

ზემო თუშეთში გაუძარცვავთ წმ. იოანე ნათლისმცემლის საყდარი. გაუტაცნიათ 870 მან. ღირებული ნივთეულობა.

მაჰმადიანთა ცხოვრება

როგორც ვიცით ამას წინად კავკასიის მეფის ნაცვალი შეიჰ-ულ-ისლამს დაჰპირდა სასულიერო საეკლესიო საქმეებში დახმარებას, ამ მოვლენამ მაჰმადიანთა პრესაში და საზოგადოებაში დიდი სიხარული და აღტაცება გამოიწვია. გაზეთი „აჩიგ სოზი" სწერს:

„სრულიად სამართლიანი იყო მეფის ნაცვლისადმი ჩვენი თხოვნა, ჩვენ მოვითხოვეთ ის, რაც მინიმუმად უნდა ჩაითვალოსო".

ამავე საკითხის შესახებ „ენი იკბალი" ამბობს:

„მაჰმადიანთა საკითხმა და მათმა საჭიროებებმა უკვე მიიქციეს ყურადღება რუსეთის სფერებში და ყრილობებზე. ჩვენი პრესა მეტად ჩამორჩენილია თავის ნამდვილ დანიშნულებას, იგი უმეტეს წილად იცავს სხვა ხალხთა ინტერესებს. ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა, რომ ვითვლებოდეთ სრულ უფლებიან მოქალაქეებად და არა რომელიმე გერებად. შეიჰ-ულ-ისლამის მოთხოვნას სრულიად თანამედროვე ხასიათი აქვს მაჰმადიანთათვის. საჭიროა ჩვენმა პრესამ ნათლად გამოხატოს ყოველთვის თავის მოთხოვნილებები და მიაქციოს ყურადღება თუ რუსეთის მთავრობის არა, რუსეთის პროგრესიულ ნაწილის მაინც", — დაასკვნის გაზეთი.

ქართული ზმნა

უდ. ლიოზენი — მასალები თანამედროვე ქართული ზმნის შესასწავლად. თბილისი 1911.

(შემდეგი. იხ. „საქართ." № 144)

ამგვარად მოქმედებითი ზმნის სრულ მიმოხრვას აქვს შემდეგი ფორმები:

(მე შენ) გ-ხატავ — პირველი პირი,
(მე იმას) ვ-ხატავ
(შენ მე) მ-ხატავ — მეორე პირი,
(შენ იმას) ჰ-ხატავ
(ის მე) მ-ხატავს — მესამე პირი,
(ის შენ) გ-ხატავს
(ის იმას) ჰ-ხატავს.

და რადგან ენის კანონი მოითხოვს, რომ არ იქმნას თქმული ის, რაც უსიტყვოდაც გასაგებია, ამ კანონს სასტიკად იცავს ჩვენი ენა: ქვემდებარე და დამატება არ ითქმის, რადგან ზმნაში ცხადათ ჩანს ვინ არის მოქმედი პირი და ვიზედ გადადის იმისი მოქმედება.

ზემოთ მოყვანილი მიმოხრის შვიდ ფორმიდან ევროპიელმა ლიოზენმა კანონიერად მარტო სამი სცნა:

ვხატავ (მე იმას),
ჰხატავ (შენ იმას)
ჰხატავს (ის იმას).

მაგრამ იქვე სხვა ფორმაც დაინახა მხატავს, გხატავს — და დააკანონა: ეს ახალი ზმნა არისო.

ქართული ზმნა ორგვარი არისო, ბრძანებს: პირველი რიგის ზმნა გამოსთქვამს ნებაზედ დამოკიდებულ მოქმედებას და იწყობა ყოველთვის ასოთი ვ. მაგ. ვწერ, ვლოცავ, ვერო.

მეორე რიგის ზმნა გამოსთქვამს ნებაზედ დამოუკიდებელ მოქმედებას და იწყობა ყოველთვის ასოთი მ, მაგ. მწერს, მლოცავს, მერის.

მე ვხატავ, თუ ის მხატავს, მოქმედება ყოველთვის მოქმედი პირის ნე-

---

მელმაც გადაწყვიტა საქართველოს ბედი, გადაწყვიტა იმიტომ რომ მანამდისაც იგი განაგებდა... ვაჟა. პირველია პატივ აყრილ წოდებიდან, მაგრამ მისი გაგება სულ არ ეწინააღმდეგება. მის წინა მგოსანთ საქართველოს გაგებას.

თუ ვინმე გრ. ორბელიანის, აკაკის და ილიას საქართველოით წამებას დაუკავშირებს მათ წოდებას ისიც უნდა მოიგონოს, რომ ვაჟაც ასე მღეროდა და აქ იკრება წრე... წოდებათა ზევით ჩდება ერთი სული მთლიანი საქართველოსი.

ვაჟას თავზე დიდხანს არ ქონია გვირგვინი, მისი ბედი თითქოს მიაგავს ქართველ მეფეთა ბედს... რომელთა თავზეც გვირგვინი დიდხანს არ იცდიდა... მარი ბროსეს იმერეთის მეფეთა შთამომავლობით სიაში მოხსენებულ 33 მეფეში ათზე მეტმა წელიწადზე ნაკლები იმეფეს. მაგრამ ვინ გაბედავს სთქვას, რომ ვაჟას ემძიმა სამეფო გვირგვინი?..

ვაჟა წავიდა, რომ სანთლად აენთოს მამულისთვის წამებულ გმირებსა!..

მის სიკვდილს არ გამოუწვევია იმნაირი გამოხატულება იმ ხალხში, რომელიც ირქმევს დემოკრატიას, როგორიც აკაკის სიკვდილმა გამოიწვია... აქ აკაკის და ვაჟას გენიათა მხატვრულ ღირებულებაზე არ იყო საქმე... აქ პოლიტიკურმა დაფასებამ იჩინა თავი. ერთი მხრივ ვაჟა იყო სწორედ დემოკრატიიდან, მისი დღესასწაული დემოკრატიის დღესასწაულიც იქნებოდა, როგორც თავისიანისა, მეორე მხრივ ვაჟამ გაუსწრო დემოკრატიის პოლიტიკურ იდეალს და ამიტომ გამოვიდა გაუგებრობა... დემოკრატიამ არ შეიწყნარა პირველი თავისი გენია და ჩირაღდანის მაგიერ ჭრაქების წინ იდრეკს მუხლს...

ყოველ შემთხვევაში ვაჟას ამით არაფერი აკლდება... და დამშვიდებით შეეძლო ვაჟას გაემორებია უალდის სიტყვები, როცა ოსკარს მეგობრებმა უთხრეს, რომ ქვეყანას არ უნდა მისი მიღება უალდმა უპასუხა მათ:

— მით უფრო ცუდი ქვეყნისათვის.

თუმცა ვაგლახი ის არის რომ ჩვენთვის დემოკრატია არ არის ისე შორეული და მალე შესალევი, როგორც უალდისთვის ქვეყანა იყო.

დღეს არ არის ვაჟა, უკანასკნელი გვირგვინოსანისგან... დღეს ჩვენი ტრაურია. სული კი ეძებს **პირა იდიდ** ქუროუმს, რადგან იგი არას დროს არ ყოფილა ისე აღელვებული, როგორც დღეს, როცა ისტორია უკანასკნელ სამსჯავროს მართავს ერებისთვის.

ჩვენ გვინდა ქურუმი, ჩვენ გვინდა წინასწარმეტყველი, რომლის ცეცხლს ჯერ მარტო პოეტები ინახავენ. ჩვენ გვინდა ერის სიონს კვლავ შეესმას დამწველი საგალობელნი.

დღეს ჩვენში უმეფობაა...

ხნიერ მწერლებში ჩვენ არ გვეგულება არა თუ მეფეობის, მისი ადიუტანტობის ღირსი იყოს ვინმე...

მხოლოდ ჩვენ გვყავან ბატონიშვილები. პირველი იმათგანი ჯერ ჭაბუკია, მაგრამ იმაში არის ცეცხლი, რომელიც გაარჩევს მომავალ მეფეს. მას ნათელ ზმანებაში ელანდება ძველი სახე საქართველოსი ის იტყვის შესაფერ ქებას და ძველ პოემებშიც ატირებულა საქართველოზე. მისი გვირგვინი იწნება და გზა პირდაპირ ტახტისკენ მიდის... მეორეშიც არი ცეცხლი, მისი თვალებიც იცრემლებიან სილამაზეზე, ის მორცხვია, მაგრამ მასში არის მეფური იერი... მხოლოდ მას აკლია საქართველოით წამება, უამისოთ ჩვენ ვერ ვიწამებთ პოეზიას ბატონიშვილისას...

ტ. ტაბიძე.

ბაზედ არის დამოკიდებული და განსხვავება მარტო ის არის, რომ მომქმედ პირად ხან მე ვარ, ხან შენ და ხან ისა და დამატებადაც ხან მე ვხდები, ხან შენ და ხან ისა. ეს დამატება შემოკლებით წინიდგან ერთვის ზმნას:

მე-ს მაგიერ მ მაგ. მ-ბაძავ, მ-ბაძავს;
შენ „ გ „ გ-ბაძავ, გ-ბაძავს;
იმას „ ს, ან ჰ „ ჰ-ბაძავ, ჰ-ბაძავს;
ს-ჰრი, ს-ჰრის.

ცხადია, მ არის შემოკლებული მე, ს—შემოკლებული ის, მაგრამ რა სიტყვის ნაშთია ასო გ, რა სიტყვა იხმარებოდა უწინ აწინდელი სიტყვის—შენ—მაგიერ, ეს ჯერ გამოკვლეული არ არის.

მაშასადამე მოქმედებით ზმნას მიმოხვრაში (მხოლოობით რიცხვში) სამი ფორმა კი არა (ვცემ, სცემ, სცემს) შვიდი ფორმა აქვს (გ-ცემ, ვ-ცემ; მ-ცემ, ს-ცემ; მ-ცემს, გ-ცემს, ს-ცემს) და აქედგან ლოღიკურად მხოლოდ ერთი დასკვნა გამომდინარეობს: ქართულ მოქმედებით ზმნას აქვს იმისთანა ფორმები, რომელნიც ევროპიულ ზმნაში არ მოიპოვება. ბ. ლიოზენმა კი ერთი და იგივე ზმნა ორ რიგად გაჰყო, და ბ. ს. ხუნდაძემ ორ მიმოხვრად: პირველი მიმოხვრის ზმნა იწყობა ასოთი ვ, მეორე მიმოხვრისა მ-თაო, სწერს, და რას წარმოადგენს ორი უყურადღებოდ დატოვებული ფორმა—გ-ხატავ და მ-ხატავ—ამაზედ კი არასა ბრძანებს.

ცალ-ცალკე რომ გავსინჯოთ ბ. ლიოზენის მიერ მოყვანილი მაგალითები მეორე რიგის, ესე იგი მ-ით დაწყობილ ზმნებისა, და მოქმედებითი ზმნის წესისამებრ დავალაგოთ მიმოხვრის შვიდი ფორმა, დავრწმუნდებით, რომ ავტორს აუღია მხოლოდ მესამე პირი მიმოხვრისა, თითქო პირველი და მეორე—არც კი არსებობდესო.

შეიძლება პირველი და მეორე პირი რომელიმე ზმნისა აღარ იხმარებოდეს, ან იმისთანა ცნებას გამოსთქვამდეს, რომელიც მარტო მესამე პირის მიერ ითქმის. ეს პირნაკლი ზმნის თვისებაა და არა საფუძველი ერთისა და იმავე ზმნის ორ ან სამ კლასად გაყოფისა. მაგ, არ ითქმის გ-ქვივარ, ვ-ქვივარ,
ან კიდევ გ-ცივი, ვ-ცივი,
მ-ცივი, ს-ცივი,
ითქმის მხოლოდ მესამე პირი:
მ-ქვია, გ-ქვია, ჰ-ქვია,
მ-ცივა, გ-ცივა, ს-ცივა.

დაბადებაში ნახმარია სიტყვა „გიცი“. ვინ იტყვის, მესამე რიგის ზმნა არის, რადგან გ-ით იწყობაო? პირნაკლი ზმნაა, რომლის ფორმები—გიცი, მიცი, მიცის, ვიცის—აღარ იხმარება და დარჩენილა მხოლოდ სამი ფორმა—ვიცი, იცი, იცის.

რამდენი დრო აქვს ქართულ ზმნას? ბ. ლიოზენის აზრით ათი; აწმყო—ვწერ; წარსული—ვწერდი, ვწერე, **მიწერია**: მომავალი—ვწერ; პირობითი აწმყო—ვწერდე, პირ. წარსული—**მეწეროს, მეწერა**; პირ. მომავალი—ვწერო; ბრძანებითი—სწერე.

ბ. მ. ჯანაშვილით—ცამეტი; სხვა სახელმძღვანელოებით—ბევრი და დ. ყიფიანის გრამატიკით—ბევრის ბევრი.

ერთი ფესვიდგან „წერ“ წარმომდგარ სხვა და სხვა ზმნების ფორმები რომ ერთად მოვაქციოთ, სწორედ რომ ბევრის ბევრ დროს შევქმნით ქართველ ზმნას და ჩვენვე საფუძველს მივცემთ უცხოელთ, რომ გრამატიკული ხასიათი გვიკიჟინონ; პირიქით არავითარ ხასს და დროთა სიმრავლეს არ წარმოადგენს ჩვენი ზმნის მიმოხვრა, თუ მარტო **ერთი** ზმნა ავიღეთ და იმის მიმოხვრაში სხვა ზმნების ფორმები არ ჩავრიეთ.

ვწერ, ვბარავ, ვთხრი — მარტივი ზმნაა; ვაწერ, ვიწერ, ვითხრი—თავსართიანია.

მარტივსაც და თავსართიან ზმნასაც შეიძლება წინიდგან თანდებული მიემატოს: ავწერ, დავწერ, გავწერ, მივწერ, ჩავწერ, გამოვწერ... დავითხრი, მოვითხრი, გადავითხრი, ამოვითხრი...

უთანდებულო მარტივ ზმნას აქვს მარტო შემდეგი დროები (მხოლოობითი რიცხვი):

აწმყო—გწერ, ვწერ; მწერ, სწერ; მწერს, გწერს, სწერს.
წარსული I—გწერდი, ვწერდი; მწერდი, სწერდი; მწერდა, გწერდა; სწერდა.
„ II—გწერე, ვწერე...
პირობითი I—გწერო, ვწერო...
„ II—გწერდე, ვწერდე...
ბრძანებითი. მწერე, სწერე; მწეროს, გწეროს, სწეროს.

უარყოფითი—ნუ—მოითხოვს აწმყოს, და უარყოფითი არა—მოითხოვს პირობით პირველს: ნუ სწერ, არა სწერო.

უთანდებულო ზმნა გამოსთქვამს დაუსრულებელ მოქმედებას და მომავალი არა აქვს.

დასრულებულ მოქმედების გამოსათქმელად ზმნას წინიდგან ერთვის თანდებული.

თანდებულიან ზმნას აქვს შემდეგი დროები: მომავალი—ჩაგწერ, ჩავწერ; ჩამწერ, ჩასწერ; ჩამწერს, ჩაგწერს, ჩასწერს.

პირობითი I—ჩაგწერდი, ჩავწერდი.
„ II—ჩაგწერდე, ჩავწერდე.
„ III—ჩაგწერო, ჩავწერო.

ბრძანებითი—ჩამწერე, ჩასწერე, ნუ ჩამწერს (მომავალი) და არ ჩამწეროს (პირობითი მესამე).

მარტივ ზმნას არც აორისტები აქვს, რაც აწმყო, სრული და მრავალგზის რადგან ფორმები—დავიწერე, მიწერია,, მეწერა—წარმოსდგებიან არა ზმნისაგან „ვწერ“ არამედ სხვა, თავსართიან ზმნებისგან და ჩვენ კი მარტო ერთი სიტყვის „ვწერ“ და თანდებულიანის „ჩავწერ“ მიმოხვრას ვსინჯავთ.

დასკვნა ცხადია:

2) ევროპიული ზმნის მიმოხვრა ქართულში მარტო მდგომარეობით ზმნასა აქვს:

ვწევარ, წევხარ, წევს.

2) მოქმედებით ზმნას შიგ ჩართულ დამატებისა გამო ამ სამის გარდა აქვს კიდევ ოთხი სხვა ფორმა და შემდეგი

I პირი—გ-წევ,—ვ-წევ,
II პირი—მ-წევ, – ს-წევ,
III პირი—მ-წევს,—გ-წევს,—ს-წევს.

3) მოქმედებითი ზმნის ორ რიგად ან კლასად გაყოფა სრულიად უსაფუძვლოა, რადგან ასო მ მაჩვენებელია არა რაიმე ახალი ზმნისა, არამედ დამატებისა.

4) მოქმედებით ზმნაში წინიდგან ჩართულ დამატების მაჩვენებელ ასოების (გ, მ, ს ან ჰ) გამოტოვება შეუძლებელია, რადგან სამი სიტყვა „ის იმასა წიწკნის“ უკვე შეერთებულა და შედუღებულა ერთ სიტყვად „სწიწკნის“.

5) უთანდებულო მარტივ ზმნასა აქვს აწმყო, ორი წარსული, ორი პირობითი და ბრძანებითი.

6) თანდებულიან მარტივ ზმნასა აქვს მომავალი, წარსული, სამი პირობითი და ბრძანებითი·

7) ბ. ლიოზენის მიერ მარტივ ზმნის მიმოხვრაში ჩართული „მიწერია, მეწეროს, მეწერა“ თავსართიანი ზმნის ფორმებია, და არა მარტივმა.

მარტივ ზმნის მიმოხვრაში არც რაიმე ხასია და არც ფორმათა სიმრავლე არავითარ ხასს არ წარმოადგენს არც თავსართიანი ზმნა.

თავსართიანი ზმნის შესახებ—შემდეგ.

ივ. მაჭავარიანი.

უძველესი კულტის ნაშთები ქართველთ ცხოვრებაში

(დასასრული)

III

ჩვენს ხალხს სჯერა, რომ ყოველ კაცს თავისი საუბედურო, თუ საბედნიერო ეტლი აქვს, მაშასადამე დაბადებულა ამა, თუ იმ ეტლზე. ეტლი იგივე ვარსკვლავია. თუ კაცი ცხოვრებაში ბედუკუღმართია, ზოგჯერ აღარც კი სთვლის საჭიროდ წუთი სოფლის მუხთლობასთან ბრძოლას და გულხელდაკრეფილი შეჰყურებს თავისი ეტლის საუბედურო განჩინების აღსრულებასა. ასეთი რწმუნების გამტკიცებას ხელს უწყობენ მკითხავები. თუ, მაგალითად, ბედის მორჩილი ქალწული გათხოვების მოლოდინში იყო, მკითხავის აზრით, მარხულობა და ბოლოს ძალზე მარილიანი ბედის კვერის ჭამა იყო საჭირო, რომ საქმარედ გამზადებულს სიზმარში ენახა თავისი საქმრო. ძაღლის ზუვილი, ყვავის ჩხავილი ნიშანია მომავალი რამ უბედურებისა. ძაღლს შეუტევენ, ყვავს აუქშევენ და იტყვიან, მტრისასაო. ამერიკის მკვიდრთაც ეგონათ, ეტლისაგან მომადლებული ჰქონდა კაცს მუსიკის, ხოლო ქალს შრომის სიყვარულის ნიჭი. ხელსაც კი უშვებდნენ საქმესა, თუ დაესიზმრებოდათ ისეთი, რაც ცუდს მოასწავებდა, ან თუ მხეცი თავის ხმით თავზარს დასცემდა.

თვალის თამაში, ხელის-გულის ქავილი საბედისწეროა. თუ მარცხენა თვალი უთამაშებს კაცს, ან მარცხენა ხელის გული ექავება, არ ვარგა, ცუდს რამე ამბავს შეიტყობს. მარჯვენა თვალის თამაში და მარჯვენა ხელის გულის ქავილი კი კარგია: რამე შეეძინება. ახალ მთვარეს როცა დაინახავს, დაუწრუპუნებს, ხან ფულსაც დაანახვებს, თითქოს სთხოვდეს, ცუდი რამ არ დაემართოს ვიდრე ხელახლა დაბადებამდე, ან პური არ შემოაკლდეს.

სამლთო (მღვთა) მსხვერპლი იყო შესაწირავი, რათა ღმერთს მოწყალის თვალით მოეხედნა შემწირველისთვის, ელხინებინა მიცვალებულის სულისთვის. ურიასტანში, აბაშეთში ცხვარი იცოდნენ სამლთოდ, ჩვენშიაც იგივ ჩვეულება იყო და დღესაც ძალაშია. სამლთოდ ცხვარს დიდ დღესასწაულებში დაჰკლავდენ, მაგალითად, პასექში (სააღდგომოდ), მაგრამ ჯერ ამარხულებდენ და დაკვლის წინეთ მარილს მოალოკებდენ მაშინ, როცა აბაშეთში იმავ დღესასწაულისთვის მარტო თავს მიაქცევინებდენ იერუსალიმისაკენ. სამლთო შეთქმულიც ჰქონდათ სალოცავი ხატისთვის, რომ შემწირველი დაეხსნა, ბედნიერება მიენიჭებინა, შვილი, განსაკუთრებით, ვაჟი ეჩუქებინა და სხვა ამისთანა წყალობა არ მოეკლო. როგორც ვიცით, ლუარსაბ თათქარიძემ თელეთი მოილოცა, რომ ვაჟი შესძენოდა და მისი ქონება მისი სიკვდილის შემდეგ აღარ გადასულიყო მისი ძმის დავითის ხელში. მოხარშულ ცხვარს ასო-ასო დასჭრიდენ და მარილს მოაყრიდენ, მასუკან თითო ნაჭერს ლავაშში გაჰხვევდენ და დაურიგებდენ მეზობლებს და გლახებს. უეჭველია, სამლთოც, სხვათა შორის, ერთგვარი ღონისძიება იყო, რომ მორწმუნე კაცი არ მომწყდარიყო, არ მოჰკლებოდა ბუნების ბრმა ძალთაგან მფარველობა, მიცვალებულის სულთანაც ერთობა ჰქონდა.

მიცვალებულის გაბანვას, რაც წესად აქვს დღეს არა თუ ქართველობას, არამედ სხვა ქრისტიან ხალხთაც, სათავე ებრაელთ ჩვეულებაში აქვს. მიცვალებულს, გაბანვის შემდეგ, აცმევდნენ საუკეთესო ტანისამოსსა, ზოგჯერ საქორწინოსაც. ჯერ დაუქორწინებელ ახალგაზრდას გვირგვინითაც უმკობდნენ თავსა. მოხუცნი ზოგჯერ ანდერძად სტოვებდნენ, რომ მარტო სუდრით დამარხულიყვნენ, უტანისამოსოდ და უკუბოდ, უთუოდ იმ მოსაზრებით, რომ მიწას მიბარებულნი მალე ქცეულიყვნენ მიწად. დამარხვა იცოდნენ, განსაკუთრებით დიდკაცობაში, მოთქმითა, რომელსაც ეწოდებოდა ზარით ტირილი. მოზარეთა კრებულს, რომელიც დაქირავებულიც შეიძლებოდა ყოფილიყო, ეწოდებოდა ასაბია. სიტყვა, რომელიც ჰნიშნავს კრებულსა, რადგანაც იტყოდნენ, დიდი ასაბით მივიდა და გაპატიოსნაო. მოზარე დახელოვნებული იყო მოთქმაში, მიცვალებულის შექებაში. ასეთი ჩვეულება ძველ რომშიაც იყო დიდ კაცთა (პატრიქთა) შორის. პლებეემა მილონმა მოჰკლა კლავდიო პატრიქი. დიდი რიტორი ციცერონი, რომელმაც წარმოსთქვა მილონის დასაცავად შესანიშნავი სიტყვა, ჰმოწმობს, კლოდიოს დამარხვას დაესწრნენ ზარით მოტირალნიო. არაბნი დაიქირავებენ მოზარე დედაკაცებსა, რომელნიც თმას იგლეჯენ, გამწარებულნი ჰკივიან და შესაფერ ზარს ამბობენ.

დიდკაცი თუ სხვა ვინმე შეძლებული სიცოცხლეში, ისევე, როგორც ინდოეთშიაც აქვთ ჩვეულებად, დაიმზადებდა საფლავ-აკლდამას, რომ დამარხულიყო. ასეთ აკლდამას საძვალე ერქვა. საძვალე ჰქონია გამზადებული დავით აღმაშენებელსაც გელათში. ჩვენში სახელოვან მოშაირეს დავით გურამიშვილსა. იოანე ზედაძეს და შიო მღვიმეს, ამ ორ მონასტერში ჰქონია ალაგი სასაფლაო და საძვალე, ორივ ქვიტკირის და სახლგალავნებით დამშვენებული, მაგრამ ცრუ საწუთრომ არ დაინდო და უცხოეთში დაალევინა სული. ყველაფერი მოწმობს, რომ დიდიდებული ტაძრები, ჩვენი ქვეყნის მრავალ ადგილს მრთლად, თუ ნანგრევად დაშთენილი, ხშირად სამარხაკლდამები ყოფილა მათ მაშენებელთათვის. თუ საერთო სასაფლაოზე დაიმარხებოდა მიცვალებული, მისი ჭირისუფლები საფლავის ქვას დაადგამდენ ისეთს, რაზედაც იყო ხოლმე გამოქანდაკებული სახე მიცვალებულისა. ზოგიერთი მორწმუნე კიდევ დაიბარებდა საფლავის ქვა საფლავზე კი არა, საფლავის გვერდით დაედგათ, რომ მეორედ მოსვლაზე მკვდრეთით აღმდგარიყო თავისუფლად, დაუბრკოლებლივ. მაშასადამე, საფლავის ქვის დადგმას ჰქონია ძველად სხვა რაღაც მნიშვნელობა. აფრიკის ხალხთა შორის თუ სადმე იცოდნენ საფლავის ქვის დადგმა, ამ ჩვეულებას იმ აზრით მისდევდნენ თურმე, რომ მიცვალებულისთვის ღონისძიება მოესპოთ საფლავში ამოსვლისა.

როგორც კაცს სიცოცხლის დროს, ისევე მისი სიკვდილის შემდეგ მის სულსაც სჭიროდა საზრდო. სული ორმოცამდის სახლში ტრიალებდა, რის გამოც ცალკე კერძს დაუდგამდნენ, რომ ეჭამა, ზოგჯერ ქელეხსაც გაუმართავდნენ მიცვალებულს დასაფლავების შემდეგ. დიდ დღესასწაულებში ჭირისუფლები მიცვალებულის საფლავს თავ ფეხთით დაუწყობდნენ კერძსა, პასექში წითელ კვერცხსაც, რასაც შემდგომ მათხოვრებს აჭმევდენ. ამერიკის მკვდართაც სწამდათ, ადამიანის სიკვდილის შემდეგ მისი სული ტრიალებდა ოჯახში და ისევე, როგორ ქართველები, კერძს დაუდგამდენ. ჩინელები კიდევ დასაფლავების შემდეგ, პურის ჭამასაც გაუმართავდენ. სურვილი ჰქონდათ, კავშირი არ შეეწყვიტათ მიცვალებულთან.

კაცთა ნათესავი თავიდგანვე ზესთაბუნებრივს ესწრაფებოდა, ბუნების ბრმა ძალთაგან თავზარდაცემული და მისი შექმნილი საერთო კულტი შემდეგში განვითარებულა სხვა და სხვა ერთა შორის მათი ქვეყნის ზნე-ჩვეულებასთან შეფარდებით, ზოგჯერ სულ გამქრალა, ზოგჯერ კიდევ ცხოვლად დარჩენილა. ამით უნდა აიხსნებოდეს უძველესი კულტის სახეთა ერთნაირობა იმ ერთა შორის, რომელნიც არც გვარტომობით, არც მანძილით არ უახლოვდებიან ერთმანეთსა.

წყაროები: 1) Ch. Letour neau, L'Evolution religieuse dans les diverses races humaines; 2) Seisse, L'Histoire d'un royaume oublié; 3) თეიმურაზ ბატონიშვილი, საქართველოს უძველესი ისტორია.

პეტრე მირიანიშვილი.

თეატრი და ცხოვრება

ვინა სთქვა, ქართველთ შრომის უნარი არ შეგვწევსო? ეს დებულება სრულიად გააბათილა ბ-ნმა ა. იმედაშვილმა, რომ პოტაპენკოს „ახალი ცხოვრება“ სთარგმნა და არა თუ სთარგმნა, კიდეც გააბედნიერა ჩვენი სცენა მისი დადგმით. მიუხედავად პიესის სიმძიმისა, უსიცოცხლო გრძელი მოქმედებებისა, ჩვენ მსახიობთა მიერ ძლეული იქმნა და იშვიათის ანსამბლით შესრულდა. ეს მეორე გარემოება კიდევ ცხადსა ჰყოფს, თუ რა ენერგიის ხალხი ვყოფილვართ. მსახიობთა ცულლუტობა გადალახულია. შეგვიძლიან თამამად ვსთქვათ, სურვილი თუ კი იქნება, ყოველთვის ასეთის სისრულით მოიხაზება პიესის დადგმა და მაყურებელიც მადლობას ეტყვის თუ პიესის ამორჩევისთვის არა, კარგი დადგმისთვის მაინც.

„ახალ ცხოვრების“ გაკრიტიკება არ მსურს, იმედია, მას ჩვენი მსახიობნი აღარასოდეს არ განიმეორებენ, როგორც არა ხელოვნურ ნაწარმოებს. შესაძლებელია (და ეს ასედაც უნდა იყოს) იდეის მხრით ბევრი რამ იყოს საინტერესო, მაგრამ პოტოპენკო არ გამოდგა ხეირიანი დრამატურგი. ხერხი სცენების შეწყობისა ტლანქია, ტრაფარეტული, მოსაწყენი, ნახევრად პუბლიცისტური, რაიც ასე რიგად ჰღლის მსმენელს და, ვგონებ, თვით როლების აღმსრულებლებსაც.

რეჟისორის სასიქადულოდ უნდა ვთქვათ, რომ სცენები გემოვნებით შეეწყო, რითაც პიესის ტლანქი იერი დაჰფარა და მხატვრულად აანაზღაურებინა დანაკლისი. ცოტა პირველ მოქმედებაში სჭარბობდა სურათები. ერთის შეხედვით მუზეუმის პატარა კუნჭული გეგონებოდათ, სადაც უადგილობისა გამო სურათებს ხორა-ხორა ჰკიდავენ. მაგრამ ეს წვრილმანია. საზოგადოდ დადგმის გემოვნებამ აჯობა პიესის არჩევნის გემოვნებას.

ასევე ითქმის მსახიობთა შესახებ. ბ-ნი გუნია არა ჩვეულებრივს გუნებაზე იყო. პირველ მოქმედებიდანვე ცოცხალ და მუდამ დაუცხრომლად მომქმედ ადამიანის ტონი დაიჭირა და ბოლომდინ არ უღალატნია მისთვის. მისი რატობორცევი სულის დალევამდე მოძრაობდა, ბუნებრივ საზღვრებს არ სცილდებოდა. ცოტა ბოლო მოქმედებაში დიდი კონტრასტი გვაჩვენა პარიკის ამორჩევაში. ეს მით უფრო გვეცემოდა თვალში, რომ მის გარშემო სხვა მოქმედი პირნი ისევ იმ გრიმში იყვნენ, უცვლელად, როგორც წინა მოქმედებაში. ერთი სიტყვით, სიმეტრია არ იყო დაცული. მაგრამ ყველა ეს წვრილმანია.

უდარდელი, ყოვლად უნიათო და ცხოვრებისთვის ზედმეტი ადამიანის ტიპი დაგვიხატა ბ-ნ დ. მგალობლიშვილმა სემიგრადსკის როლის შესრულებით. სრული თავისუფალი ქცევა, მუდამ როლის ჩინებული ცოდნა, თითქმის უსუფლიოროდ დროზე გამოხმაურება ამ მსახიობის დადებით ღირსებას წარმოადგენს და მიტომაცაა, რომ ყოველ პიესის ანსამბლისთვის იგი საჭირო მსახიობია.

ნაზი და მიმზიდველი ხარიტონა დაგვიხატა ქ-ნმა დავითაშვილმა. ღონიდ მეოთხე მოქმედებაში „ველური ცხენით“ გაჭენების წინ საჭირო იყო გრძნობათა სიჭარბე, თავდავიწყებითი გატაცება, რომ საყვარელი ვიაზმიტინოვი მერნის ფრთით თავისთან ერთად გაეტაცნა.

დანარჩენ როლებს მაინცა და მაინც მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვსთ პიესაში. თვით ვიაზმიტინოვიც კი (ალ. იმედაშვილი) უფრო დეკორატიული პიროვნებაა, ა[illegible] ამ პირველ პერს[illegible] შეასუსტა. ამიტომაც თამაში მაინცა და მაინც ისე თვალსაჩინო ვერ იქნებოდა, რომ ყურადღება დიდი მიეპყრო. ყოველ შემთხვევაში ყველანი თავ-თავიანთ ადგილას იყვნენ და პიესის მსვლელობას ერთგულად უწყობდნენ ხელს,

დიოგენი.

გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

An die Kommandatur
des Kriegsgefangenenlagers

აქ დაწერეთ ლაგრის ადრესი.

Liebesgaben für die russischen Kriegsgefangenen

აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.

Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingnenstrasse, № 48, A. A. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond Russe pour les prisonnier de guerre.

ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

Швейцарія Заказное
Suisse. Recommandée
Comité International de la Rouge.
Agence des prisonniers de guerre Genéve.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისში მოდის:

№		
№ 3	ბაქოდან.	12 ს. 54 წ. დღ.
№ 4	ბათომიდან.	5 ს. 55 წ. საღ
№ 5	ბაქოდან(სწრ.)	7 ს. 41 წ. საღ.
№ 10	ბათომიდან.	9 ს. 51 წ. დილ.
	ჯულფიდან	6 ს. 53 წ. დილ.
	ბორჯომიდან	7 ს. 25 წ. დილ.
	„ საღ.	10 ს. 28 წ. საღ.

თბილისიდან გადის:

№		
№ 3	ბათომისკენ	1 ს. 45 წ. დღ.
№ 4	ბაქოსკენ	7 ს. 3 წ. საღ.
№ 6	ბაქოს(სწრ.)	12 ს. 8 წ. დღ.
№ 9	ბათომისკენ.	8 ს. 53 წ. საღ.
	ჯულფისკენ	10 ს. 23 წ. საღ.
	ბორჯომისკენ	3 ს. 29 წ. დღ.

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.

თბილისიდან გადის:

თელავისა და წნორისკენ დილ.	8 ს. 58
გურჯაანში მიდის ნაშუადღ.	3 ს. 53 წ.
გურჯაანიდან გადის თელავისკენ ნაშუადღევს	4 ს. 53 წ.
თელავში მიდის ნაშუადღევ.	5 ს. 35 წ.
გურჯაანიდან წნორზე მიდის	4 ს. 18 წ.
წნორზე მიდის	5 ს. 15 წ.

თელავიდან ყოველ დღე გამოდის თბილისისკენ:

დილის	8 ს. 58 წ.
გურჯაანში მიდის . . .	10 ს. 26 წ.
წნორიდან თბილისისკენ გამოდის დილის. .	10 ს. 16 წ.
გურჯაანში მიდის . . .	10 ს. 16 წ.
გურჯაანიდან თბილისისკენ გამოდის დილის	10 ს. 46 წ.
თბილისში ჩამოდის 5 საათზე.	

თბილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ პარასკევს, 20 გიორგობისთვეს 1915 წელს, შუადღის 12 საათზე, გამგეობის საკრებულო დარბაზში მოხდება

საჯარო ვაჭრობა
საქალაქო სახლის აშენების
(მე-4 უბ. მელნიჩ. ქ. მისახვ. № 3)
იჯარით გასაცემად

ყველა პირობებისა და ცნობების გაგება შეიძლება საქმის დროს გამგეობის მე-4 განყოფილების კანცელარიაში.

(2—7—1)

1 მაისიდან ქ. თბილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა

„განათლება“

ჯერჯერობით აგენტებს გაეგზავნებათ შემდეგი გაზეთები: „საქართველო“, „თანამედროვე აზრი“, „ეშ. მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“ და იყიდება ახლად გამოცემული წიგნები ა. ბლდონის „აკაკი და მისი პოეზია“ (რუსულ ენაზე), „სქესობრივი საკითხი და ბავშვი“ ი. გომართელისა, „მსოფლიო ომის ეკონომიური მიზეზები“—მასლოვისა, „ცხოვრების სიმღერები“—ბეგლარ ახოსპირელისა „კოოპერატივები იტალიაში“—ნ. ჟორდანიასი და სხვა-და-სხვა ქართული წიგნები.

აგენტები ვალდებულნი არიან მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდაწინ გადაიხადონ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладз:.

კანტორის ადრესი: Ольгинская 6.

თევზის მრეწველნი
ძმ. მეზველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშოჩნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გამგეობის შესახვევი № 1.